პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 184 (20525) ◆ ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

8 აგვისტოს კრემლში **რ. ნ. ნიშანოვის** თავმჯდომარეობით მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად შეიტანა „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე" სსრ კავშირის კანონის პროექტი.

ამ საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ლ. ი. აბალკინს.**

ამ კანონის პროექტის მომზადებისას, თქვა მან, მთავრობა ითვალისწინებდა, რომ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გზა ობიექტურად აუცილებელი, ერთადერთი შესაძლო საშუალებაა გამოვიყვანოთ საბჭოთა ეკონომიკა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა, რომ ჩვენ არა გვაქვს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დავამსხვრიოთ წარსულში შექმნილი მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა და გადავიდეთ მეურნეობრიობის თვისებრივად ახალ სისტემაზე, რომელსაც საფუძვლად დაედება მართვის, საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების, ადგილობრივი ორგანოების, ყველა დონის საბჭოების ინიციატივისა და დამოუკიდებლობის მაქსიმალური განვითარების ეკონომიკური მეთოდების გამოყენება, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებსა და მუშაკისა და კოლექტივის რეალურ მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობას შორის ურთიერთობის განმტკიცება.

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გზით თანამიმდევრული წინსვლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო წარმოების ეფექტიანობის არსებითი გაზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სოციალური ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველყოფა. უამისოდ შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც ეკონომიკურ, ისე ყველა სხვა სფეროში თვითმმართველობისა და დემოკრატიზაციის მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნა.

შემდეგ ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ საჭიროა განუხრელად, მტკიცედ, გულდაჯერებით მივდიოდეთ წინ რეფორმის გზით, არ გადავუხვიოთ დასახულ კურსს, არ შევყოვნდეთ და, ამასთანავე, თავი ავარიდოთ ნაჩქარევ და გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს.

რამდენიმე დღის წინათ უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად მთავრობას დაევალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემოდგომის სესიისათვის მოამზადოს ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური სახელმწიფო კანონების სერია: კანონი საკუთრების შესახებ; კანონი არენდის, საარენდო ურთიერთობის შესახებ; კანონი ქვეყანაში ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ; კანონი სოციალისტური საწარმოს შესახებ; სახელმწიფო საწარმოს, კოოპერაციის თაობაზე კანონებში შესწორებათა შეტანის შესახებ; უნდა მივიღოთ კანონი მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ. ყველა ეს კანონი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს, წარმოადგენდეს ორგანულ მთელს, რადგან ძალიან ძნელია დიდი, არსებითი ნაბიჯის გადადგმა ეკონომიკური რეფორმის დარგში, თუ კომპლექსურად და შეთანხმებულად არ გადაწყდა ეს საკითხები. ეს ადვილი ამოცანა არ არის და, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაპირებთ მტკიცედ და განუხრელად შევასრულოთ იგი, ამასთან შემოდგომის სესიისათვის შევიტანოთ ეკონომიკური რეფორმის შემდგომი გაღრმავებისათვის ურთიერთდაკავშირებული კანონების კომპლექტი.

თავად ცხოვრებამ მოითხოვა კორექტივების შეტანა ამ გადაწყვეტილებების მიღებაში უკვე ამ სესიაზე.

რით ვხელმძღვანელობდით, რა დაედო საფუძვლად ამ დოკუმენტის მომზადებას? უნდა გითხრათ, რომ აქ გვაქვს გარკვეული მარაგნაკეთი, რომელიც მოიცავდა შემდეგ შემადგენელ ნაწილებს.

ჯერ ერთი, ჩვენ ვეყრდნობოდით მთელი რიგი ინსტიტუტების, მათ შორის აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტების სამეცნიერო ნამუშევრებს, კანონის ცხოვრებაში გამოყენების პრაქტიკის მთელ ანალიზს.

მეორე, გულდასმით გავაანალიზეთ წინადადებანი, რომლებიც სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაისმა გამოსვლებში, განიხილებოდა მუშათა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან, მოსკოვის საწარმოთა ხელმძღვანელებთან მთელ რიგ შეხვედრებზე.

და ბოლოს, ეკონომიკური რეფორმის კომისიათა შემადგენლობით მთავრობის ორგანოების მუშაობის დროსაც ხორციელდებოდა მუშაობა კანონის გამოყენების პრაქტიკის განზოგადებისათვის და მზადდებოდა წინადადებანი მისი სრულყოფის თაობაზე. ყოველივე ამან ერთად მოგვცა სწორედ საშუალება მოგვემზადებინა კანონის პროექტი, რომელიც გამოტანილია განსახილველად, თქვა ორატორმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაპარაკია კანონის შესწორებებზე, რომლებიც არ ცვლის მის არსსა და შინაარსს. უწინარესად, განაგრძო მან, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ საჭიროა საწარმოებს, მათს შრომით კოლექტივებს მივანიჭოთ უფლება დამოუკიდებლად ირჩევდნენ მეურნეობრიობის ფორმებს.

მოხსენებაში განიხილეს შეფარდება ხელფასის მატებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის. წელს შექმნილი ტენდენციების მიხედვით, შემნახველ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების ყოველთვიური მატება შეადგენს 3 მილიარდ მანეთს. ანუ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის დაწყებიდან შემნახველ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების მატება 7 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

არის წინადადება შეიცვალოს ხელფასის მატებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის შეფარდება და მის ნაცვლად, სანამ მიღებული იქნება ქვეყანაში დაბეგვრის ერთიანი სისტემა, შემოვიღოთ შრომის ანაზღაურების ფონდების მატების პროგრესული დაბეგვრის სისტემა.

მომხსენებელი შემდეგ შეეხო მართვის სტრუქტურების სრულყოფის გზებს, არის წინადადება, თქვა მან, შრომის კოლექტივებს მიეცეთ უფლება თავისუფლად გამოვიდნენ გაერთიანებათა შემადგენლობიდან.

მოიწონა რა მთლიანად შესწორებები, ორატორმა კომიტეტის სახელით შეიტანა რამდენიმე კონკრეტული წინადადება. კერძოდ, მან თქვა, რომ საჭიროა 1 ოქტომბრისათვის კანონის მიღებასთან ერთად ნორმატიული აქტების მთელი პაკეტი, რომლებიც ეხება ამ პრობლემებს, შეესაბამოს მათ.

კავშირის საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების საკითხთა კომისიის სახელით სიტყვას ითხოვს დეპუტატი **ვ. ი. კისინი.** მან მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი წამოაყენა კანონის პროექტისათვის, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უსწრაფესად გაუქმდეს ყველა ქვეკანონის აქტი, რომლებიც ეწინააღმდეგება მას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უნდა მოახსენოს საშემოდგომო სესიას ამისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

შემდეგ **ლ. ი. აბალკინმა** უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ნ. ი. ტრავკინი, ვ. მ. დეხიატოვი, ვ. ვ. ბუშუევი, რ. ა. ბიკოვი, ს. ვ. ხელიზნიოვი, ფ. მ. ბურლაცკი, ა. ი. ნეუმივაკინი, ვ. მ. რიაბკოვი, ნ. ს. საზონოვი, ა. კ. მილოსერდნი, ვ. ა. ლევაკინი, ა. ა. დენისოვი, ე. პ. ველიხოვი, ვ. ი. კირილოვი, ი. ე. ანდრეევი, ი. ი. ზასლავსკი, ბ. ხ. ზლაევი, ა. ა. სობჩაკი, ნ. ს. გლაზკოვი, ე. ვ. კოგანი, მ. ლ. ბრონშტეინი, ს. ი. ნაუმოვი, ვ. ი. ტრეფილოვი** და **ვ. ნ. ფომინიხი.**

დეპუტატები გადადიან პალატების მიხედვით ცალ-ცალკე კენჭისყრაზე. ხმების უმრავლესობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონში შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს.

თავმჯდომარე კვლავ აძლევს სიტყვას **ლ. ი. აბალკინს,** რომელმაც განაცხადა, რომ არის დაბეგვრის საკითხი, რომელიც უნდა მივიღოთ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, როგორც დროებითი ხასიათის ღონისძიება, რაც გამოწვეულია ერთი კვარტალითა და ერთი წლით მოქმედების შეზღუდულ ვადასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციით. ეს გამოწვეულია იმით, რომ არსებობს ხელფასის მატებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის თანაფარდობათა ორი დაკავშირებული ნორმა. გასაგებია, რომ არ შეიძლება მივიღოთ დადგენილება სანახევროდ, გავაუქმოთ ეს თანაფარდობა და არ შემოვიღოთ სხვა რეგულატორი. ეს კიდევ უფრო გაამწვავებს სიტუაციას.

განისაზღვრა ერთი პრიორიტეტი და უნდა გავიგოთ, რომ ვწირავთ ყველა დანარჩენ პრიორიტეტს ერთის — სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების გულისთვის. ხელფასსა და შემოსავალში აქ ყველა შეზღუდვა მოხსნილია. შეიძლება იმდენი გამოიმუშაო, რამდენიც წარმოებული იქნება ეს საქონელი. ამავე დადგენილებაში, მიაჩნია ორატორს, შეიძლება მიეცეს დავალება მთავრობას მოამზადოს წინადადება, რომ შეიმუშაოს ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც შეაკავებენ ფასების სპეკულაციურ ზრდას, ან მათ ისეთ ზრდას, რომელიც არ გამომდინარეობს პროდუქციის ხარისხის რეალური გაუმჯობესებიდან.

დეპუტატთა მიერ განხილვის შემდეგ დადგენილებას სახელმწიფო საწარმოებისა და გაერთიანებების შრომის ანაზღაურების ფონდის დაბეგვრის შესახებ იღებს უმაღლესი საბჭო.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა დაიწყონ სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში მთელი რიგი კანდიდატურების განხილვა.

შეაქვთ წინადადება ლ. ი. ფილიმონოვი დაინიშნოს სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მინისტრად.

სიტყვა ეძლევა **ლ. ი. ფილიმონოვს.** ნავთობსა და გაზს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, აღნიშნა პრეტენდენტმა, მაგრამ დარგში მთელი რიგი სერიოზული პრობლემებია. მნიშვნელოვანი დისპროპორციები შეიქმნა სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურებით უზრუნველყოფაში. მთელი რიგი წარმოებანი უკვე ღრმად ეწინააღმდეგება დღევანდელ ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ვ. ი. პროკუშევი, ნ. უ. ბეკბოსინოვი, მ. ტ. მუხამეტზიანოვი, გ. რ. იბრაგიმოვი, ვ. ნ. ფომინიხი, ვ. ნ. ოჩიროვი, ვ. ი. ვოსკობოინიკოვი** და **ე. დ. აიპინი.**

შემდეგ კანდიდატმა უპასუხა დეპუტატთა მრავალ კითხვას.

ხმების უმრავლესობით უმაღლესმა საბჭომ ლ. ი. ფილიმონოვი დანიშნა სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მინისტრად.

შემდეგ შეაქვთ წინადადება სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის მინისტრად დაინიშნოს **ვ. ი. მელნიკოვი.** მას სიტყვა ეძლევა.

სანამ დარგის განვითარების პერსპექტივებზე თავის შეხედულებებს ჩამოაყალიბებდა, პრეტენდენტი შეეხო მის თანამედროვე მდგომარეობას, მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს. თუმცა ტყეების ყველაზე დიდი მარაგი გვაქვს, თქვა მან, მაგრამ ჩვენი ქვეყანა რამდენჯერმე ჩამორჩება განვითარებულ სახელმწიფოებს სატყეო და ქაღალდის ბევრი საქონლის ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებით.

წამოყენებული კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **გ. ა. ჩერნიხი, ს. ვ. ანგაპოვი** და სხვები.

ხმების უმრავლესობით ვ. ი. მელნიკოვი ინიშნება სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის მინისტრად.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ვ. ა. შეხოვცოვს,** რომელმაც სესიას მოახსენა, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა ტაიფუნ „ჯუდის", რომელიც თავს დაატყდა ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებს. მისი წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ თანაგრძნობა გამოუცხადა ყველა დაზარალებულს, აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობები რეგიონის მოსახლეობას საჭირო დახმარებას გაუწევენ.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ხმების უმრავლესობით, დამატებებისა და სარედაქციო დაზუსტებების გათვალისწინებით დაამტკიცა დებულება საზღვარგარეთ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობათა შესახებ.

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარემ **ე. მ. პრიმაკოვმა** წინადადება წამოაყენა განიხილონ ნ. ნ. ვორონცოვის კანდიდატურა, რომელიც რეკომენდებულია გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

ჩამოაყალიბა რა თავისი პროგრამა, **ნ. ნ. ვორონცოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე ეხება ქვეყნის გიგანტურ ტერიტორიაზე და ეკონომიკურ ზონაში ბუნების დაცვის სისტემის მოგვარებას. მისი მნიშვნელობა დღეს შეგნებული აქვს მთელ საზოგადოებას, ეს ხომ ჩვენი მომავლის დაცვაა.

კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ვ. ი. სტადნიკი, ი. პ. შელინსკი, დ. თ. ლეუენკო, ი. ა. რიჟოვი** და სხვები.

ხმის უმრავლესობით ნ. ნ. ვორონცოვი ინიშნება სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

შემოაქვთ წინადადება, რომ სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს **ნ. ი. რუსაკი.** მას მიეცა სიტყვა.

ამ ბოლო დროს, თქვა კანდიდატმა, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სერიოზულად და სამართლიანად აკრიტიკებენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში მრავალი პრობლემა დაგროვდა. ილაპარაკა რა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, ორატორმა პირველ ადგილზე დააყენა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ი. ა. რიჟოვი, ე. ნ. კაბანოვი, ი. ი. ბოროდინი, ა. ვ. ფირსოვი, ნ. ს. ფესკოვი, ვ. ა. ივაშკო** და სხვები.

კენჭის ყრის შემდეგ ნ. ი. რუსაკს ამტკიცებენ თანამდებობაზე.

დეპუტატები შეუდგნენ **ვ. ვ. გერაშჩენკოს** კანდიდატურის განხილვას, რომელიც რეკომენდებულია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ბაზაზე ქვეყანაში სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, ეკონომიკის დეცენტრალიზაცია და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად საწარმოებისათვის პირობების შექმნა მოითხოვს ცვლილებებს - საკრედიტო და საბანკო სისტემაში, თქვა კანდიდატმა, როცა ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა. ამის გზა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ეკონომიკურ კრიტერიუმებზე დამყარებული ფულად-საკრედიტო მასის რეგულირების მეთოდების ცვლილებებზე, საწარმოთა და მოსახლეობის დანაზოგების ახალი ფორმების შემოღებაზე, კომერციული ბანკების ქსელის შექმნაზე გადის.

ხმის უმრავლესობით ვ. ვ. გერაშჩენკოს ამტკიცებენ თანამდებობაზე.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის **ი. დ. მასლიუკოვის** ინფორმაცია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1990 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებების შესახებ ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა გათვალისწინებით (გამოსვლა გამოქვეყნდა).

ინფორმაცია მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა **ბ. ი. ოლეინიკმა.**

(საქდესი).

დროებითი კომიტეტის სხდომა

8 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. ლუკიანოვის თავმჯდომარეობით სხდომა გამართა დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითმა კომიტეტმა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 4 აგვისტოს შექმნა.

გაითვალისწინა რა ქვეყანაში დამნაშავეობის მდგომარეობა და სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა ცნობები, კომიტეტმა განიხილა სამართალდამცველი ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის თანამოქმედება მართლწესრიგის გადაჭრით განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, სასამართლოებმა, პროკურატურამ, მილიციამ და სხვა ადგილობრივმა სამართალდამცველმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა საიმედოდ უზრუნველყონ საერთო-სახალხო კუთვნილების დაცვა და მოქალაქეთა უშიშროება მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და ქონების ხელყოფისაგან. ამასთან ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკული მუშაობის გაძლიერებას, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, საზოგადოებრიობისა და შრომითი კოლექტივების აქტივიზაციას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებით კომიტეტებს დაევალათ გააჩაღონ საჭირო მუშაობა და სექტემბრის დამდეგისათვის წარმოადგინონ ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდება სამართალდარღვევათა [illegible] [illegible] მკაცრად დასჯის მიზნით, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ მართლწესრიგს, საბჭოთა ადამიანების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. ჩებრიკოვი. (საქდესი).

გამოვიჩინოთ მაქსიმალური პასუხისმგებლობა

8 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე შეხვდა საწარმოო გაერთიანებების „განთიადის" და „ისნის", ქარხანა „თბილისხელსაწყოს" შრომით კოლექტივებს. მუშებთან, ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებთან, კომუნისტებთან და უპარტიოებთან შეხვედრების დროს გულახდილი, პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე.

საქართველოს თავისი ისტორიის ძნელი პერიოდი დაუდგა. არა მარტო უნდა დავძლიოთ ეკონომიკური კრიზისი, არამედ ფართო მასშტაბის ეროვნული აღორძინების გზასაც დავადგეთ. მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი სიტყვა აქ მუშათა კლასს ეკუთვნის. ახალგაზრდა და უფროსი თაობა, ყველა ისინი, ვინც შეეჩვია კოჟრებს ხელებზე, ვისაც არ აშინებს სიძნელეები, ეროვნების, სარწმუნოების, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილების მიუხედავად, დღეს უნდა გაერთიანდნენ ყველასათვის საერთო ამ დიდი მიზნის მისაღწევად. რესპუბლიკის მშრომელებს არაერთხელ გამოუჩენიათ სიბრძნე და საღი აზრი, უპოვიათ სწორი გადაწყვეტანი ექსტრემალურ სიტუაციებში. ასე იქნება კვლავაც, მტკიცედ განაცხადეს შეხვედრების მონაწილეებმა.

ახლა შრომით კოლექტივებში ფართოდ იხილავენ საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტს. იწონებენ რა ჩამოყალიბებულ კონცეფციას, მაინც სვამენ კითხვას: შევძლებთ თუ არა მათ რეალიზებას? გვეყოფა თუ არა ძალა, ცოდნა, ოსტატობა? ცხოვრება და მუშაობა ხომ არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც რთულ ვითარებაში გვიწევს. როგორ მოვიხადოთ ამ სიტუაციაში ჩვენი პატრიოტული ვალი, რით გამოვხატოთ სამშობლოს სიყვარული? მუშათა ამ კითხვებზე პასუხი დისკუსიათა დროს იპოვეს, იგი თითქოს თავისთავად იშვა.

საწარმოთა მუშებთან და ადმინისტრაციასთან საუბრებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მთელი ყურადღება მიაპყრო სოციალურ საკითხთა გადაწყვეტის დაჩქარების საჭიროებას. მეტად ნელა იჭრება ბინებით მშრომელთა ოჯახების უზრუნველყოფის პრობლემა, არ ჰყოფნით საბავშვო ბაღები და ბაგები. სათანადო დონეზე არ ფუნქციონირებს მუშათა სასადილოები და ქარხნის მაღაზიები, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მუშათა კოლექტივებში. მაგრამ ისიც საგანგებოდ ითქვა, რომ რესპუბლიკის, მაშასადამე, ყოველი საწარმოს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან ერთად სოციალური საჭიროებებისათვის სახსრების გამომუშავება თავად მოუწევთ, აღარ უნდა ელოდონ სახელმწიფოს უსასყიდლო დახმარებას.

შეხვედრების დროს დიდი ყურადღება დაეთმო აფხაზეთის და ქვემო ქართლის ამბებს. გივი გუმბარიძემ დაწვრილებით ილაპარაკა, თუ როგორ საქმიანობს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვითარების სტაბილიზაციისათვის, შეეხო ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ამგვარი მოვლენების თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის. გაიზიარა რა მუშათა მიერ გამოთქმული წუხილი, ქართველი ხალხის ბედის გამო შეშფოთება, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილ პირობებში დაუშვებელი, ყოვლად გაუმართლებელი და მავნეც კია უკიდურესი ზომები, რომლებსაც მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი მიმართავს. მაგალითად, რა მოგვცა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გაჩერებამ ან რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შეფერხებამ?

შეხვედრებზე მწვავე სჯა-ბაასი გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ ხანს მცხოვრებთა გარკვეულ ნაწილს შორის ფეხი მოიკიდა ჩვევამ გაავრცელონ უსაფუძვლო ხმები, რაც პანიკას და არასასურველ ემოციებს იწვევს. მუშებმა დაბრკოლება უნდა აღუმართონ ყოველგვარ მონაჭორებს, საკადრისი პასუხი გასცენ იმათ, ვინც ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობს. მუშაკაცის სიტყვა ისევე დიდად ფასობს, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა. ამიტომ დღეს ყველა ჩვენგანი უნდა განიმსჭვალოს ხალხის მომავლისათვის, ბედისათვის საერთო პასუხისმგებლობის გრძნობით. (საქინფორმი).

ფიროსმანის 125 წლისთავის გამო

1991 წლის შემოდგომაზე დაბადების 125 წელი უსრულდება დიდ ქართველ მხატვარს ნიკო ფიროსმანს. ამ თარიღის ღირსეული აღნიშვნისათვის ერთი წლის წინათ შეიქმნა და მუშაობს რესპუბლიკური საიუბილეო კომისია.

8 აგვისტოს გაიმართა საიუბილეო კომისიის მორიგი სხდომა. იგი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ, რომელმაც ილაპარაკა ნიკო ფიროსმანის შემოქმედებითი მემკვიდრეობაზე, მის წვლილზე მშობლიურ კულტურაში, შემოქმედის ნათელი ხსოვნის წინაშე თანამედროვე თაობის მოვალეობაზე, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ რომ გაიტანა ქართული ეროვნული ხელოვნების სახელი.

სხდომაზე გამოვიდნენ კომისიის წევრები, რომლებმაც ილაპარაკეს გაწეულ მუშაობაზე, მოეთათბირნენ ერთმანეთს, კრიტიკულად შეაფასეს ნიკო ფიროსმანაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი დადგენილების ზოგიერთი პუნქტის შესრულება. კერძოდ, აღინიშნა, რომ წლების მანძილზე სასურველი შედეგები არ მოჰყოლია მთელი რიგი უწყებების ერთობლივ მეცადინეობას გაეთავისუფლებინათ ლომბარდის შენობა ნიკო ფიროსმანის სურათების მუდმივმოქმედი ექსპოზიციისათვის. საიუბილეო კომისიის ფარგლებში შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც ათი დღის განმავლობაში უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი და რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადება. ითქვა, რომ მხატვრის იუბილესათვის განახლდება მისი ნახატების ექსპოზიცია, გამოიცემა ოსტატის ნაწარმოებთა კატალოგი. დიდი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ნიკო ფიროსმანის მშობლიურ სოფელში — მირზაანში. კაპიტალურად რემონტდება სახლ-მუზეუმი, ახლდება ექსპოზიცია, შენდება თეატრონი და სასტუმრო. ხორციელდება ნიკო ფიროსმანის მემორიალური მუზეუმის რეკონსტრუქცია-გაფართოება თბილისში, იმ ქუჩაზე, რომელიც მისი სახელობისაა.

იუბილესათვის გამოიცემა აგრეთვე ბუკლეტები, ალბომები, მიმოქცევაში გამოვა მხატვრის გამოსახულებიანი საფოსტო მარკა, დაწესდება ნიკო ფიროსმანის სახელობის პრემია სწავლის ფრიადოსანთათვის თბილისის სამხატვრო აკადემიაში, გაიმართება სამეცნიერო კონფერენციები და ლექციები. მოძრავი ფოტოგამოფენები მოეწყობა თბილისთან დამეგობრებულ საზღვარგარეთის ქალაქებში, ჩვენი ქვეყნის ქალაქებში.

თბილისში საიუბილეო საღამო, რომელიც 1991 წლის შემოდგომაზე გაიმართება, ნიკო ფიროსმანის დაბადების 125 წლისთავის ზეიმობათა ბოლო აკორდი იქნება. ამას წინ წარუძღვება ფილმები და სპექტაკლები ფიროსმანის შესახებ, სახალხო ზეიმობანი საქართველოს გენიალური შვილის პატივსაცემად. (საქინფორმი).

საბჭოთა პარლამენტი დღეს და ხვალ

ა. ი. ლუკიანოვის ინტერვიუ საქდესის საპარლამენტო კორესპონდენტს

კითხვა: ამრიგად, დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. თუ გახსოვთ, სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემდეგ იყო ლაპარაკი იმაზე, თითქოს უმაღლესი საბჭო ახეთი შემადგენლობით ვერ გადაწყვეტდა დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ცხოვრებამ უკუაგდო ეს მოსაზრებები? როგორ აფასებთ ახალი საბჭოთა პარლამენტის მუშაობის შედეგებს?

პასუხი: სესიის პოლიტიკური მნიშვნელობა მ. ს. გორბაჩოვმა განსაზღვრა თავის საბოლოო სიტყვაში. მინდა უწინარეს ყოვლისა აღვნიშნო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობას ვერ შევაფასებთ პოლიტიკური რეფორმის მთელი პროცესისაგან განცალკევებულად. უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოს სესია ამ პროცესის შემადგენელი და მეტად პასუხსაგები რგოლია. გარკვეული პერიოდით სწორედ აქ, უმაღლეს საბჭოში გადმოინაცვლა ქვეყნის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრმა. ამ პოზიციებიდან, ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ საერთოდ ახალი საბჭოთა პარლამენტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული მოლოდინი გამართლდა.

ყველაფერი თუ იყო სესიაზე მოგვარებული? არ იყო. განა ყველა განხილული საკითხი თანაბარი მნიშვნელობისაა? გეთანხმებით. ვერ ვახერხებდით ზოგიერთი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას? ესეც იყო. მაგრამ, იქნებ, არ ღირს ახლა ესოდენ მკაცრი განსჯა? ახალი თვისების მქონე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია გაიმართა. ეს არის მთავარი. მან ცხადყო საბოლოო ანგარიშით კოლექტიური უნარი და პროფესიონალიზმი სიტუაციის შეფასებაში, კანონპროექტების ანალიზში, უაღრესად პასუხსაგები გადაწყვეტების დახვეწასა და მიღებაში.

ავიღოთ, თუნდაც, ეგრეთ წოდებული ორგანიზაციულ-განმკარგულებელი, არსებითად კი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხები, რომლებიც გადაწყვიტა სესიამ.

მან შექმნა უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და მისი პალატების მუდმივი კომისიები, განიხილა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის დავალებათა რეალიზაციის გეგმა, ეს დავალებანი კი საკმაოდ ბევრი იყო. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ჩამოაყალიბა აგრეთვე ისეთი ძირითადი სახელმწიფო ორგანოები, როგორიც არის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, უმაღლესი სასამართლო, პროკურატურის და სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიები. რამდენი საკითხიც არის, ჩვენთვის იმდენი საპარლამენტო საქმიანობის სრულიად ახალი დარგი შეიქმნა.

უმაღლესი საბჭოს დროისა და მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც იცით, მიეძღვნა მთავრობის ჩამოყალიბებას. პირველად მოხდა, რომ სიტყვა „ჩამოყალიბებამ" რეალური შინაარსი შეიძინა. ცხარე კამათის შემდეგ დამტკიცებული მინისტრები პარლამენტის ტრიბუნიდან სრულიად შეცვლილნი ჩამოდიოდნენ, რადგან იღებდნენ უფლებამოსილებებს ხალხის წარმომადგენლებისაგან, აბარებდნენ მეტად სერიოზულ, დემოკრატიულ გამოცდას.

ახლა ჩვენი ხალხი? რა იცოდა მან წინათ მინისტრების შესახებ? ახლა ხედავდნენ, რომ სესიაზე პოსტების კანდიდატები მრავალი საათის განმავლობაში უპასუხებდნენ დეპუტატთა კითხვებს, სთავაზობდნენ თავიანთ პროგრამებს. და უმაღლესი საბჭო არჩევდა დარგების საუკეთესო ხელმძღვანელებს. არსებითად, იყო მკაცრი „ორმაგი კონტროლი". მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ცოტაა. საჭიროა „სამმაგი კონტროლი" — კონტროლი იმისამი, თუ როგორ განხორციელდება პარლამენტის გადაწყვეტილებანი. იქნებ ეს მისი მთავარი ფუნქციაც კი იყოს.

მთავრობის ჩამოყალიბება დეპუტატებისთვისაც სკოლა გახდა. როგორც დეპუტატმა გ. ი. ფილშინმა თქვა, ეს იყო მთელი აკადემია. მე მას ვეთანხმები. ალბათ, პირველად მოხდა, რომ დეპუტატებმა ნამდვილად იგრძნეს, თუ რა ხდება ჩვენი ეკონომიკის ყოველ დარგში.

სესიის გადაწყვეტილებები შეიძლება რამდენიმე გამსხვილებულ ბლოკად დავყოთ. ეს არის ეკონომიკის, ეკონომიკური რეფორმის გაღრმავების საკითხები. ეს არის, შემდეგ, სოციალური პოლიტიკის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები. საკითხთა მესამე ჯგუფია აქტები, რომელთა მიზანია ხელისუფლების განმტკიცება ადგილებზე, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების რიგგარეშე... სესიების მოწყობა და აღმასკომების ანგარიშების წარდგენა. მეოთხე ბლოკი — ეს არის სოციალისტური კანონიერების განმტკიცება, კერძოდ, გადაწყვეტილება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ. და ბოლოს, მიღებულია აქტების ჯგუფი, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობის სფეროს ეხება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რომელი გადაწყვეტილება მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო? უწინარეს ყოვლისა დადგენილება იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან პენსიები მოემატებათ ხელმოკლე მოქალაქეებს. და უმაღლეს საბჭოს თუნდაც მარტო ეს საკითხი რომ გადაეწყვიტა (იგი კი პირდაპირ ეხება 30 მილიონი ადამიანის ბედიღბალს), ესეც კმაროდა პარლამენტის დადებითად შეფასებისათვის.

მაგრამ უმაღლესი საბჭო ხომ ამით არ შემოიფარგლულა. მიღებულია გადაწყვეტილება ხალხისათვის საქონლისა და მედიკამენტების შესყიდვის მნიშვნელოვანი გაზრდის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილება სტუდენტთა ვადამდე დემობილიზაციის შესახებ. მიღებულია მთელი რიგი სხვა კანონები, რომლებმაც უნდა მოაწესრიგოს ქვეყნის სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარე. მე მათ არ ჩამოვთვლი. მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ შეიქმნა ისეთი პრაქტიკაც, როცა უმაღლესი საბჭოს სხდომათა დღის წესრიგის თითქმის თითოეული საკითხის წინასწარი განხილვა მიმდინარეობს ამა თუ იმ კომიტეტსა ან კომისიაში. იქ მცოდნე ადამიანების, პროფესიონალების თავმოყრა მომავალში ხელს შეუწყობს კანონპროექტების, გადაწყვეტების საგულდაგულო დამუშავებას, აგრეთვე პარლამენტის განსახილველად აწონ-დაწონილი დასკვნების გამოტანას.

(დასასრული მე-2 გვ.).

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

9 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო საქართველოში მყოფი თურქეთ-შვეციის ერთობლივი ტურისტული ფირმის მფლობელი შანვერ აკინი. გაიმართა საუბარი, რომელსაც კეთილმოსურნე და საქმიანი ხასიათი ჰქონდა. იგი შეეხო ტურიზმის განვითარების მიზნით ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების მოგვარებას. აღინიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში გამოდარებასთან დაკავშირებით, მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, საქართველოსადმი. იმათი რიცხვი, ვისაც სურს ტურისტად იმოგზაუროს ჩვენს რესპუბლიკაში, პრაქტიკულად შეუზღუდავია. ეს, ბუნებრივია, თურქეთის ფირმისა და ჩვენი შესაბამისი ორგანიზაციების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების დიდ შესაძლებლობებს სახავს. დადებითი გამოცდილება უკვე არის — დამყარდა საქმიანი ურთიერთობა აჭარის ასს რესპუბლიკასთან. ამასთან დაკავშირებით შეეხნენ კონკრეტულ წინადადებებს ტურისტული მარშრუტების, ტურისტთა გაცვლის ორგანიზაციასთან, მიღებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თეთრი წყაროს რაიონში მარაბდის, ახალი ხაიშისა და გოლთეთის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გამოეყოს თეთრი წყაროს რაიონის კოდის სასოფლო საბჭოს სოფლები ახალი მარაბდა და ძველი მარაბდა, ხოლო დურნუკის სასოფლო საბჭოს — სოფელი ქოთიში, და მათ ბაზაზე შეიქმნას მარაბდის სასოფლო საბჭო, რომლის ცენტრი ახალი მარაბდა იქნება.
2. სტიქიური უბედურების შედეგად მესტიის რაიონიდან წინწყაროს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დასახლება მიეკუთვნოს სოფლების ჯგუფს, ეწოდოს სოფელი ახალი ხაიში და შეიქმნას ახალი ხაიშის სასოფლო საბჭო.
3. გამოეყოს ჩხიკვთის სასოფლო საბჭოს სოფელი გოლთეთი და შეიქმნას გოლთეთის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ჩოხატაურის რაიონში გუთურის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს სოფელი გუთური და შეიქმნას გუთურის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ბოლნისის რაიონში ტანძიის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ბოლნისის რაიონის აკაურთის სასოფლო საბჭოს სოფელი ტანძია და შეიქმნას ტანძიის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 9 აგვისტო.

საბჭოთა პარლამენტი დღეს და ხვალ

(დასასრული)

ამრიგად, ვფიქრობ, რომ უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და მისი პალატების მუდმივი კომისიები სულ უფრო და უფრო გადაიქცევა ჩვენი პარლამენტის თავისებურ ლაბორატორიებად, საცდელ ბაზად. ეს არის ის რგოლი, სადაც ისახება, მოწმდება მიდგომა ბევრი დიდი პრობლემისადმი, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებას ეხება.

კითხვა. რამდენიმე კვირის განმავლობაში დეპუტატები იხილავდნენ ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. რამდენად შეუწყვეს მათ ხელი იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც წამოიჭრა კრემლის კედლებს მიღმა ეროვნებათშორისი კონფლიქტების, მეშახტეთა გამოსვლების დროს? რამდენად ეფექტიანი იყო სესიაზე შექმნილი დეპუტატთა კომისიების საქმიანობა, რომლებიც გაემგზავრნენ მოვლენების ადგილზე.

პასუხი. უნდა მოგახსენოთ, რომ უმაღლესი საბჭოს წევრებმა, სახალხო დეპუტატებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სესიის მუშაობაში, ამა თუ იმ მოვლენაზე სწრაფი რეაგირება მოახდინეს. ისინი მიფრინავდნენ კუზბასში, დონბასში, ვორკუტასა და ქვეყნის სხვა „ცხელ“ წერტილებში. ადგილებზე მათი მონაწილეობით ახორციელებდნენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, მათი ლოკალიზაცია. კარგია, რომ ასეთი გულისხმიერება და ოპერატიულობა საერთოდ უმაღლესი საბჭოს ნიშან-თვისება ხდება.

მაღაროელთა გაფიცვებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ ცხადყო, რომ ჩვენ ყველანი შეწუხებული ვართ სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგებისა და რეგიონების საქმის ვითარებით. დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი კვლავაც მთელ ყურადღებას მიაპყრობს ეკონომიკის ძირითად ამოცანებს, სოციალურ პრობლემებს.

რაც შეეხება უშუალოდ კოლექტიურ შრომითს დავას, მათი გადაწყვეტის წესს, ამ საკითხის თაობაზე კანონის პროექტი ახლა მუშავდება და მალე გამოქვეყნდება.

ახლა ეროვნებათშორის საქმეებზეც მოგახსენებთ. ამის თაობაზე, როგორც ცნობილია, იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებანი. შესაბამისი კომისიები განაგრძობენ მუშაობას. არავითარი საფუძველი არა გვაქვს წინ გავუსწროთ მოვლენებს. მოდით, მოთმინება ვიქონიოთ.

უმაღლესმა საბჭომ შექმნა მთელი რიგი კომისიები: მთიანი ყარაბაღის, მესხეთელი თურქების, ყირიმელი თათრების, საბჭოთა გერმანელების პრობლემათა შესასწავლად. თითოეულ ამ პრობლემას მრავალი წლის ისტორია აქვს, თითოეული მათგანი მწვავე და მტკივნეულია და საჭიროა მათი ყოველმხრივ აწონ-დაწონა.

გაიმართა კომისიების პირველი სხდომები. ისინი ადგილებზეც ჩავიდნენ. მაგალითად, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის კომისიამ ს. ი. მანიაკინის მეთაურობით არა ერთი დღე გაატარა მთიან ყარაბაღში, მოუსმინა ასობით ადამიანს — როგორც სომხებს, ისე აზერბაიჯანელებს. განა ადვილია გამოიტანო ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ასეთ სიტუაციაში. კომისიის მუშაობა გრძელდება.

მუშაობას განაგრძობენ სხვა კომისიებიც. მათ რომ დაუყოვნებელი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მოვთხოვოთ, რა თქმა უნდა, მაცდუნებელია, მაგრამ რეალური არ არის. სახალხო დეპუტატები გულდასმით მუშაობენ და უკვე საშემოდგომო სესიაზე, ალბათ, შევიტყობთ მათ დასკვნებს. ახლა კი მაინც მთავარია, გამოვიჩინოთ ამ საკითხებში თავშეკავება და საღი აზრი.

კითხვა. სესიაზე დიდი ყურადღება დაეთმო დეპუტატთა მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში, პარლამენტის ორივე პალატის კომისიებში გამართულმა დისკუსიებმა გამოავლინა დეპუტატთა აზრებისა და ინტერესების მრავალფეროვნება. შეიქმნა ჯგუფები „ინტერესების მიხედვით“, რეგიონთაშორისი ჯგუფი. რა როლს ასრულებენ ისინი პარლამენტის საქმიანობაში?

პასუხი. აი, რას გეტყოდით ამის გამო. სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის დროს და მის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს სესიაზე, გაჩნდა სულ სხვადასხვაგვარი ჯგუფები, დეპუტატთა გაერთიანებანი. ესენი არიან აგრარიკოსები, ეკოლოგები, წარმოების მუშაკი დეპუტატები, ახალგაზრდული ჯგუფი, „ავღანელი“ დეპუტატები. აქტიურად გამოიჩინეს თავი უმაღლესი და საშუალო საგანმანათლებლო სკოლის პრობლემებთან დაკავშირებულმა დეპუტატებმა. არის სხვა ჯგუფებიც — ინტერესების, პროფესიული ერთიანობის მიხედვით, როცა ადამიანებს აქვთ საკამათო, ერთად საფიქრალი. და ამას გარკვეული სარგებლობა მოაქვს, საშუალებას იძლევა დადგინდეს ჭეშმარიტება კამათის დროს. გაჩნდა სარეგიონთაშორისო დეპუტატთა ჯგუფიც, რომელსაც თავდაპირველად, ყრილობის მუშაობის პირველ დღეებში, თუ გახსოვთ, „მოსკოვის ჯგუფს“ ვუწოდებდით.

მან თავის მიზნად გამოაცხადა ალტერნატიული გადაწყვეტილებების, დოკუმენტების, კანონპროექტების მომზადება. თავისთავად ასეთი ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევს. უფრო მეტიც, ყრილობის დროს და სესიაზე უკვე წამოყენებული იყო არაერთი ათეული ალტერნატიული წინადადებანი უაღრესად ფართო წრის საკითხთა გამო. და თუ მიზანი მხოლოდ ალტერნატიული გადაწყვეტილებების შემუშავებაა, მაშინ ისმება კითხვა: სჭირდება თუ არა ჯგუფი მხოლოდ ასეთ მიზანს, რამდენადაც მისი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მზად არიან „საბრძოლველად“, თუ ყოველგვარი სხვა საშუალება ამოიწურება?

ვიმეორებ, ნორმალური, სამუშაო წესით დეპუტატს ან დეპუტატთა ჯგუფს ხომ შეუძლიათ შემოიტანონ ნებისმიერი წინადადებანი, და ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო რაღაცნაირად გაემიჯნონ დანარჩენებს.

ერთი სიტყვით, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაურკვეველი. ამიტომ უნდა ვნახოთ, რა გზით წარიმართება ჯგუფის მოქმედება, როგორი იქნება მისი მიმართულება. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ეს ჯგუფი ხელს შეუწყობს საზოგადოების კონსოლიდაციის იდეას, და არ გაგვთიშავს, თუ იგი იმუშავებს საერთო საქმისათვის, და არა სხვადასხვა მიზნებისათვის, მისი მეცადინეობა მისასალმებელი იქნებოდა.

მინდა ერთხელ კიდევ გითხრათ: მე თვალსაზრისების, აზრების, პოზიციების სხვადასხვაობა სავსებით ნორმალურ, ბუნებრივ საქმედ მიმაჩნია. და კონსოლიდაციის გზა დიალოგის შეწყვეტა კი არა, მისი მოგვარებაა, მაგრამ ისე, რომ არ გავამწვავოთ დაძაბულობა, არ გამოვიწვიოთ უნდობლობა, ჯგუფურობა.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი სიუჟეტი ივანე ბუნინის მოგონებებიდან, სადაც იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ კითხულობდა „ომსა და მშვიდობას“ ორი მეზობელი მემამულე. ერთი კითხულობდა მხოლოდ „ომს“, მეორე — მხოლოდ „მშვიდობას“. ერთი კითხვისას ტოვებდა ყველაფერს, რაც ეხებოდა ომს, მეორე კი — პირიქით. რაღაც ამგვარი ხდება ხშირად ჩვენს მუშაობაშიც. და აი, ამას როგორმე და რაც შეიძლება მალე უნდა დავაღწიოთ თავი.

—კითხვა. დრო სწრაფად მიდის, დამთავრდება პარლამენტის არდადეგებიც, რომელიც, როგორც ჩანს, დეპუტატებისთვის მშვიდად ვერ ჩაივლის—მათ მოუხდებათ მუშაობა დასვენების დროსაც. 18 სექტემბერს, როგორც ცნობილია, ყველანი კვლავ შეიკრიბებიან მოსკოვში. რა შეიძლება ითქვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პერსპექტივებზე, რა მთავარი საკითხები განიხილება შემოდგომაზე?

პასუხი. „საშინაო დავალება“ უმაღლესი საბჭოს წევრებმა არდადეგებისათვის სოლიდური მიიღეს. ეს ათზე მეტი კანონპროექტია.

დავიწყებ იმით, რომ სესიამ უნდა განიხილოს 1990 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. თანაც, უნდა განიხილოს ეკონომიკური განვითარების ნეგატიური ტენდენციების საბოლოო შეჩერების, ფინანსების გაჯანსაღების თვალსაზრისით. ეს, როგორც გესმით, ძალიან რთული ამოცანაა.

და იგი ერთადერთი არ არის. დეპუტატებმა თან წაიღეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტები, სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ კანონების პროექტები. ეს არის აგრეთვე საკუთრების შესახებ მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ, საარენდო ურთიერთობის შესახებ, სოციალისტური საწარმოს შესახებ, პენსიების შესახებ, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის, საგამომგონებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტები და სხვა.

ერთი სიტყვით, სესიისათვის დოკუმენტების პაკეტი საფუძვლიანად უნდა იყოს მომზადებული. თვით სესია კი — ამას ნუ დავივიწყებთ — თავისებური მოსამზადებელი საფეხური იქნება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობისათვის. აქ, გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, მოვისმენთ, ალბათ, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილი კომისიების ინფორმაციებსაც.

საერთოდ კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საპარლამენტო საქმიანობის ახალი ეტაპი უფრო ნაყოფიერი იქნება, რადგან აღარ მოგვიხდება დაწყება „ნულოვანი ციკლიდან“. საძირკველი ჩაყრილია. ახლა დროა ავაგოთ შენობა.

ეროვნული

ბრიფინგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრში აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამ რამდენიმე დღის წინ შექმნილი პრესცენტრის ხელმძღვანელმა, ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ ვ. ლორთქიფანიძემ პირველი ბრიფინგი გამართა:

— პრესცენტრი მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. მასში შედიან ცენტრალური კომიტეტის, საქინფორმის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის პასუხისმგებელი მუშაკები.

ჩვენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით რესპუბლიკის კომუნისტებს, მშრომელებს რეგულარულად გავაცნობთ იმ დაძაბულ მუშაობას, რომელსაც დღეს ეწევიან ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გაფართოების გადაუდებელ ამოცანათა გადასაწყვეტად. აგრეთვე, იმ რთულ პრობლემებს რომლებიც წლის მანძილზე დაგროვდა ცხოვრების ყველა სფეროში და აწუხებს საზოგადოებრიობას. დღეს პარტიულ მუშაობაში არსებითი ცვლილებები ხდება და ამის დაუნახაობა არ შეიძლება. არადა ასეთი ინფორმაციის ნაკლებობა იგრძნობა. ჩვენ შევეცდებით დავეხმაროთ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტებს, პრესის ცენტრალური ორგანოების საკუთარ კორესპონდენტებს საქართველოში, და მაშასადამე, მილიონობით მკითხველსა და მაყურებელს, — მიიღონ ინფორმაცია, თუ შეიძლება ითქვას პირველწყაროდან. პრესცენტრთან აქტიურად ითანამშრომლებს ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილება.

მრავალი წლის მანძილზე ინფორმაცია ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ არ იყო სრული. ეს ყოველთვის ჟურნალისტების ბრალი არ იყო. დღეს, როდესაც ეროვნული კონსოლიდაციის ამოცანებს ვწყვეტთ ვეწევით პარტიის ინიციატივით დაწყებულ გარდაქმნას, აღვადგენთ მის ავტორიტეტს, ნდობას პარტიული კადრებისადმი, არ იქნებოდა სწორი არ გვეჩვენებინა საჯაროობის მაგალითი. თუ ვამბობთ, რომ გარდაქმნის რთული ამოცანების რეალიზაცია შეუძლებელია საერთო ძალისხმევის გარეშე, ეს, ჩვენი აზრით, უწინარესად ჩვენვე გვაკისრებს დამატებითს მოვალეობას უფრო ხშირად ვკითხოთ რჩევა ადამიანებს, კომუნისტებს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც დღის წესრიგში დგას.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან სისტემატური ცოცხალი ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა გვინდა გახდეს ყოველკვირეული ბრიფინგები, რომლებზეც შევეცდებით მოგაწოდოთ ობიექტური და სრული ინფორმაცია პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, მოგახსენოთ ჩვენი შეფასებები და პოზიციები, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ სფეროებში მომხდარი ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის მიმართ. ვფიქრობთ, ასეთი თანამშრომლობა ყველასათვის სასარგებლო იქნება, მით უმეტეს, რესპუბლიკისა და ქვეყნის დინამიკურად ცვალებადი პოლიტიკური ვითარების პირობებში.

ამ კვირას პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში იქნება მზადება ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, რომელიც სავარაუდოდ თვის ბოლოს გაიმართება. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პლენუმს. პოლიტიკური შეფასება უნდა მივცეთ თბილისის 9 აპრილის, ქვემო ქართლის რაიონებსა და აფხაზეთში მომხდარ მოვლენებს, ბევრი პარტიული კომიტეტისა და ორგანიზაციის მუშაობას. ამასთან, უმთავრესად მიგვაჩნია კონსტრუქციული მიდგომა, არ არის საკმარისი შეცდომების, ნაკლოვანებათა მხოლოდ მხილება და დაგმობა. ასევე მთავარია, მივაგნოთ ვითარების ნორმალიზაციის, სოციალურ სფეროში, ეკონომიკაში, ადამიანთა განწყობილებაში დაძაბულობის დაცხრობის გზებს, ამის გარეშე კი შეუძლებელია გარდაქმნის პროცესების დაჩქარება, პირუთვნელი მსჯელობა რა თქმა უნდა, გვექნება იმის შესახებაც თუ რა ვიღონოთ, რათა პარტიის განახლების, მისი საქმიანობის მეთოდების სრულყოფის პროცესები შეუფერხებლად და წარმატებით მიმდინარეობდეს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება მინდა მივაპყრო ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელისადმი, რომელიც შეიცავს თხოვნას მონაწილეობა მიიღონ პლენუმის მომზადებაში, ეს მიმართვა, როგორც ცნობილია, პრესაში გამოქვეყნდა.

დიდი იმედი გვაქვს, რომ მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩება საქმე ეხება ზოგადი გრძელვადიანი საერთო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. ამიტომ არც ერთი კომუნისტი, ადამიანთა არც ერთი ჯგუფი თუ საზოგადოებრივი გაერთიანება განზე არ უნდა გადგეს. ეს გახლავთ რეალური ნაბიჯი დიალოგისაკენ და, თუ გნებავთ, პრინციპულ საფუძველზე კონსოლიდაციისაკენ.

ცენტრალურ კომიტეტს განზრახული აქვს პლენუმზე მიიღოს და ფართო განხილვის რეკომენდაცია მისცეს ეროვნული განვითარების პროგრამის პროექტს, რომელსაც ამჟამად ამუშავებს ცენტრალური კომიტეტის წევრთა, მეცნიერთა, შემოქმედთა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა, ინტელიგენციის, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი. ასეთი პროგრამა ჯერ არც ერთ რესპუბლიკურ პარტორგანიზაციაში არ შექმნილა, ამიტომ ყველა კომუნისტმა უნდა გააცნობიეროს პასუხისმგებლობა მისი შედგენის, სრულფასოვანი განხილვისა და, რა თქმა უნდა, განხორციელებისათვის. ჩვენ უკვე მოგვივიდა ათობით წინადადება, რომლებსაც გაითვალისწინებს სპეციალური სარედაქციო ჯგუფი. ამ საქმეში, ჩვენთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

პარტიული ცხოვრების მეორე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება მარნეულის საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციათა გაერთიანების შესახებ, რომელიც შეესაბამება ამ რეგიონის მრავალეროვანი მოსახლეობის საარსებო ინტერესებს. საორგანიზაციო ბიურომ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი რ. მემარნიშვილი ხელმძღვანელობდა, რამდენიმე შეხვედრა გამართა კომუნისტებთან, შრომითს კოლექტივებთან, ქალაქისა და რაიონის მოსახლეობასთან. ამ გადაწყვეტილებას, უნდა ითქვას, მხარდაჭერითა და მოწონებით შეხვდა კომუნისტთა და უპარტიოთა დიდი უმრავლესობა. პარტიის მარნეულის რაიონული კომიტეტის გუშინ გამართულმა პლენუმმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაეხმარება რაიონის კომუნისტებს უფრო მალე დააღწიონ თავი კრიზისს, გამორიცხონ მომავალში მისი წარმოშობის ყოველგვარი წანამძღვრები.

მთლიანად ქვემო ქართლის რაიონების პარტიულმა კომიტეტებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მოქმედებენ უფრო მტკიცედ და დამაჯერებლად, განსაკუთრებით ბოლნისის რაიონში. აქ უკვე გადაწყდა ზოგიერთი საკადრო საკითხი. განთავისუფლებულია რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მ. ყულიევი, არჩეულია ახალი თავმჯდომარე — შ. დ. რეხვიაშვილი, რომელიც მანამდე პარტიის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა. შესაბამისი შეფასება მიეცა ცალკეული კომუნისტების, პარტიული ორგანიზაციების მოქმედებას. მართლწესრიგის ორგანოებმა, რომლებიც ცენტრიდან მივლენილმა გამოცდილმა მუშაკებმა გააძლიერეს, გამოავლინეს დანაშაულის ბევრი ორგანიზატორი. რაც მთავარია, იცვლება მიკროკლიმატი ბევრ პირველად პარტორგანიზაციაში, მათი დამოკიდებულება მომხდარი ამბისადმი. ყველა იმ საქმეში ცენტრალური კომიტეტი ყოველმხრივ დახმარებას უწევს პარტიის რაიკომს.

რამდენიმე სიტყვა აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა მტკიცედ და განუხრელად ატარებს ვითარების ნორმალიზაციის პროგრამას, რომელიც ადგილზე შემუშავდა მოვლენათა პირველსავე დღეებში ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მონაწილეობით. ბევრი პრინციპული საკითხი უკვე გადაწყდა, ბევრიც—გადაწყვეტის პროცესშია. ყოველივე ამას დრო სჭირდება. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არცერთი კითხვა არ დარჩეს უპასუხოდ, რათა ადამიანები გულდაჯერებით შეჰყურებდნენ თავიანთ მომავალს, ირწმუნონ, რომ მათ არავინ დაურღვევს მშვიდ, ნორმალურ ცხოვრებას. ახლახან მიღებულია გადაწყვეტილება ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებისა და შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების მთელი რიგი ხელმძღვანელების განთავისუფლების შესახებ.

მაგრამ ზოგან კვლავ რთული მდგომარეობაა. მუშაობა შეწყვიტეს ქალაქ ტყვარჩელის მთელი რიგი შახტებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა. ოჩამჩირის რაიონში განაგრძობენ გაფიცვას მრავალი საწარმოს კოლექტივები, რომლებიც მოითხოვენ უფრო მტკიცე, გადამჭრელ მოქმედებას. აქტიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის შემდეგ, რომელიც შაბათ-კვირას გასწიეს პარტიულმა ორგანოებმა, ტყვარჩელის ყველა შახტში კვლავ აღდგა მუშაობა. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა განიმუხტოს ვითარება, ყველგან აღდგეს ნორმალური შრომითი რიტმი, გამოიძებნოს სწორი გადაწყვეტები. და ამისათვის ახლა აქტიურად მუშაობს ყველა პარტიული კომიტეტი.

საწარმოთა მუშაობის შეფერხება დაღს ასვამს რესპუბლიკის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათ შორის, აჭარიდან და სვანეთიდან ჩამოსახლებულთა მოწყობა-დაბინავების პროგრამის დროულ რეალიზაციას. ზამთრის კარს მოდგომამდე აქ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

ამ ცოტა ხნის წინ, როგორც ცნობილია, ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან გ. გ. გუმბარიძესთან გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ რაიკომის მდივნები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაზარალებული სოფლების მცხოვრებნი. გადაწყდა ბევრი ისეთი პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან, სამუშაოთა კოორდინაციასთან, ჩამოსახლებულთა დროებითს დაბინავებასთან, მათთვის კრედიტების მიცემასთან. ძვრები უკვე იგრძნობა, მაგრამ თუ არ იქნა საერთო დაინტერესება, მთელი საზოგადოებრიობის წუხილი და გულშემატკივრობა ჩვენს თანამემამულეთა ბედისათვის, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩვენსავე საკუთარ სახლში, ამოცანის გადაწყვეტა ალბათ გაცილებით უფრო გაგვიჭირდება.

აგროსამრეწველო განყოფილების მონაცემების მიხედვით, მძიმე მდგომარეობა იქმნება საკვების მხრივ მეცხოველეობაში. თუ უახლოეს ხანს არ მივიღეთ ნამდვილად საგანგებო ზომები, რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების სრულფასოვან მომარაგებას მეცხოველეობის პროდუქტებით შეიძლება საფრთხე შეექმნას. ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა მიიღეს დავალება კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკვების დამზადების საქმეში. ჩვენ არც ერთი კილოგრამი საკვების დაკარგვის უფლება არა გვაქვს, უნდა ვეძებოთ რეზერვები, რომელთა მეშვეობითაც თავს დავაღწევთ ამ რთულ მდგომარეობას.

ტელეფონის ხაზზეა სოხუმი

მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის ზრუნვით

სოხუმის რაიონის აქტივის კრებაზე, აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას, პასუხისმგებლობის ამაღლებას რომ მიეძღვნა, მონაწილეობა მიიღეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა, სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის ადამიანებმა.

— მთელი რესპუბლიკა შეძრა 15-16 ივლისს მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, — თქვა პარტიის სოხუმის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კადენეცმა, — რიგმა საწარმოებმა, მათ შორის პურსაცხობმა, რაისამრეწველო კომბინატმა, ტრანსპორტმაც კი, ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მომხდარის შემდეგ მუშაობა შეწყვიტეს. ამ სიტუაციაში ჩვენ ყოველ ღონეს მივმართეთ ვითარების ნორმალიზაციისათვის. ხალხი მეტად შეშფოთებული იყო, მოითხოვდა მასობრივი თავყრილობების, მიტინგების მოწყობას. მიტინგები ჩატარდა ბესლეთის სასოფლო საბჭოში, აჩადარაში, სხვა ადგილებში.

ღია პარტიულ კრებებზე ვითარების განხილვისას კომუნისტები ხშირად პასიურობას იჩენდნენ, რაც ხელს უშლიდა დიალოგის გამართვას. ადგილებზე მუშაობა საკმაოდ ძნელია, ამისთვის საჭიროა ხელმძღვანელი თავად იყოს ობიექტურად განწყობილი.

— მომხდარი მოვლენების შემდეგ ადამიანები თვალს ვერ უსწორებენ ერთმანეთს, — თქვა საბჭოთა მეურნეობა „ეშერის“ დირექტორმა ვ. თარბამ, — ყველა შეშფოთებულია, ადგილს ვერ პოულობს, განიცდის. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ და შევარიგოთ მტრულად განწყობილი მხარეები. ჩვენ საუკუნეები ვცხოვრობდით ერთად და მომავალშიც ერთად უნდა ვიცხოვროთ.

— დარწმუნებული ვართ, რომ შეტაკების აღკვეთა ხელეწიფებოდა ხელმძღვანელობას, — აღნიშნა სოფელ აჩადარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. სიჯინავამ, — არადა, ძნელია ირწმუნო, რომ ასეთი სისხლიანი ტრაგედია ჩვენში მოხდა.

თავის გამოსვლაში შერიგების აუცილებლობას გაუსვა ხაზი კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარემ ტ. ოგანიანმა.

— ამ რთულ სიტუაციაში, — თქვა მან, — ყველამ უნდა შეაგნოს, რომ ჩვენ არა გვაქვს სხვა გამოსავალი, გარდა შერიგებისა, უამისოდ ვერ აღსდგება ცხოვრების ჩვეული რიტმი. ადამიანებმა არ იციან როგორ მოიქცნენ, რანაირად იცხოვრონ მომავალში. ხალხი დაჯინებით გვეკითხება, როდის დასრულდება გამოძიება, როდის დაისჯებიან დამნაშავენი.

წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. კვარაცხელიამ შეკრებილთ, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს მაქსიმალური თავშეკავებისაკენ მოუწოდა, აღნიშნა, რომ ჯეროვანი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ჯანმრთელობის დაცვის ბევრ მუშაკს, ხელმძღვანელს.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სოხუმის ფილიალის სუბტროპიკული მემცენარეობის სამეცნიერო-ექსპერიმენტული მეურნეობის ხელმძღვანელმა მ. ბღაჟბამ შეკრებილთ შეახსენა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ძირძველ ტრადიციებზე, თქვა, რომ საჭიროა ენატანობის, ყოველგვარი ჭორის გავრცელების აღკვეთა. იგი ძაბავს სიტუაციას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

დღეს საჭიროა ვეძებოთ არა ერთმანეთისადმი ურთიერთობაში შეცდომები, არამედ სწორედ ის, რაც გვაახლოებს და გვაერთიანებს.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ შეტაკება და დარბევა, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობისაგან 100 მეტრის მოშორებით, — თქვა დასასვენებელი სახლის „გუმისთას“ დირექტორის მოადგილემ ვ. ბიგვავამ, — სამართალდამცავმა ორგანოებმა თუ არ იცოდნენ რა ხდებოდა მათ მეზობლად, ეს მათ დანაშაულებრივ დაუდევრობაზე მეტყველებს, ხოლო თუ იცოდნენ და არ აღკვეთეს — კიდევ უფრო უარესი!

გონიერებისაკენ, შექმნილი ვითარების განმუხტვისაკენ მოუწოდებდნენ მშრომელებს სხვა გამომსვლელებიც.

— ჩვენ ჯერ კიდევ არ ვლაპარაკობთ სიმართლეს, — განაცხადა კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარემ ტ. ჯიჯელავამ, — მე ყოველივე საკუთარ თავზე გამოვცადე, და ხალხის სახელით მოვითხოვ, დამნაშავენი საკადრისად იქნენ დასჯილნი.

კრებაზე გამოსულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. აფაქიძემ თქვა:

— ჩვენ ალტერნატივა არა გვაქვს — მომავალშიც ერთად უნდა ვიცხოვროთ, ისევე როგორც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ამ მიწაზე. რაც შეეხება საკითხის ისტორიულ ასპექტს, მე შემდეგს ვიტყვი: ამ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ სარწმუნო წერილობით წყაროებს. ბოლოსდაბოლოს, ჩვენი ხალხები ხომ ორი ათასი წელია ერთად ცხოვრობენ. ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ა. თავხელიძესთან ერთად შევხვდით აფხაზ მეცნიერებს, გამოვთქვით მოსაზრებები სადავო საკითხების გამოსარკვევად ერთობლივი მუშაობის შესახებ.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე.

მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მიმართულია მხარეთა შერიგების, რაიონში ვითარების ნორმალიზაციისა და მუშაობის შემდგომი აქტივიზაციისაკენ.

იოსებ გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ კორ.

პარტიის მარნეულის გაერთიანებული რაიკომის პლენუმი

9 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიონული და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პარტიის მარნეულის გაერთიანებული რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი რ. ბ. მემარნიშვილი, რომელიც „საქსოფლქიმიის“ რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარედ მუშაობდა: მეორე მდივნად არჩეულია თ. გ. ბერიძე, მდივნად — ზ. ბ. გულუზადე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე.

იმავე დღეს ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე და გ. დ. მგელაძე ეწვივნენ ბოლნისისა და დმანისის რაიონებს, სადაც შეხვდნენ და ესაუბრნენ მშრომელებს და მოსახლეობას.

გავუფრთხილდეთ ძმობას

ფიქრი და საზრუნავი

ერთი კრების შემდეგ

ჯერ გვალვამ და შემდეგ ხშირმა წვიმებმა დააყოვნეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, განსაკუთრებით უჭირს ნათესებს. გვალვით დაკნინებული ჭარხალი, ლობიო, ბოსტნეულ-ბაღჩეული ბალახმაც შეაწუხა. ახლა ყოველდღე ქუდზე კაცი უნდა გამოდიოდეს ნათესების გადასარჩენად, ბევრგან კი უდარდელობა გამეფებულა და დროს უმიზნო მასლაათში ატარებენ.

რა ვითარებაა ამ მხრივ ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში; აქ გაზაფხულზე ახალი ნიჭიერი ორგანიზატორი მოევლინათ მეურნეობის წინამძღოლად. ბევრმა სწრაფად გაუგო მას და მხარში ამოუდგა, ნაწილი კი კვლავინდებურად უქმად კლავს დროს. დისციპლინა გადამწყვეტია, მაგრამ ძნელდება ზოგიერთი თავაშვებულის სასიკეთოდ მოქცევა. სწორედ დისციპლინის განმტკიცების საკითხს მიეძღვნა კრება ერედვში. გაიმართა გულახდილი დიალოგი, ყურადღება გამახვილდა არენდულ შრომაზე.

— ხალხის დარაზმულობა იმანაც შეანელა, რომ ამ ბოლო დროს გახშირდა არასასურველი ლაპარაკი ქართველთა და ოსთა დამოკიდებულებაზე. ეს მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობაზე, ქართველსა და ოსს საუკუნო ძმობა შეუფიცავთ და ვერავინ ხელყოფს ნებაყოფლობით შეერთებულ გულთა ძგერას, — თქვეს ერედველებმა კრებაზე. მსჯელობა გაიმართა „ლიტერატურული საქართველოს“ ერთ პუბლიკაციაზეც „გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩება“, რომლის ავტორია დიანა მაჩაბელი. იგი წერილის დასაწყისში კმაყოფილებით იხსენიებს იმ ვაჟკაცებს, რომლებმაც მისი ნათესავი ფხვლენიშვილების ოჯახი სიკვდილს გადაარჩინეს. აქ საუბარია აგრეთვე „წითელი მიწის“ კარიერზე, რომლის ინტენსიური დამუშავება კარგს არაფერს უქადის ბუნებას, ნადგურდება ტყეები.

პარტიის ცხინვალის რაიკომმა გულთან მიიტანა ხალხის ნათქვამი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სასწრაფოდ გაიგზავნა წერილი, რათა კომპეტენტური ორგანოები ჩარეულიყვნენ საკითხის გადაწყვეტაში, და მალე თბილისიდან კიდეც ჩამოვიდა სპეციალისტთა ჯგუფი. დადგინდა, რომ ერედვის კარიერზე ექსპლოატაციის დროს დარღვეულია პროექტით გათვალისწინებული სამთო სამუშაოები, რის გამოც გაშიშვლდა ფერდობები, წარმოიშვა ქვაბულები, კარიერის სამხრეთ-დასავლეთით 0,5 ჰექტარზე შეიქმნა მცოცავი ნიადაგი, 1988 წლის 1 აპრილს წარმოებული ჭარბი აფეთქებით ძველ შენობებს გაუჩნდა ბზარი, ჩაიმტვრა მინები. შედგა აქტი, კომისიამ მიზანშეწონილად სცნო შეწყდეს ასეთ ვითარებაში ექსპლოატაცია მანამ, სანამ არ ჩატარდება გარემოს გეოლოგიური შესწავლა. ჯერჯერობით კი სასოფლო საბჭოსა და დეპუტატთა ზედამხედველობით წარიმართება ტექნოლოგიური პროცესი. ეს ვითარება მოხსენდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ველით საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

ერედველები ასევე დაეთანხმნენ წერილის ავტორს, რომ საჭიროა კულტურის ძეგლების მოვლა-აღდგენა. ამ საკითხის მოსაგვარებლად იმსჯელა პარტიის რაიკომმა, თხოვნით მიმართა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომ ჩატარდეს ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების რესტავრაცია-აღდგენის სამუშაოები. კერძოდ, საჭიროა რესტავრირებულ იქნას „თირის მონასტერი“ სოფელ მონასტერში, „წმინდა გიორგის“ X საუკუნის ძეგლი სოფელ ერედვში, XIII-XIV საუკუნეების „ძელიცხოვლისა“ და „საბაწმინდას“ ძეგლები სოფელ ხეითში, X საუკუნის ეკლესია გალავნით სოფელ ბელოთში, „წმინდა გიორგის“ ეკლესიები სოფლებში ხეთაგუროვსა და გერში...“

განსაკუთრებული მსჯელობა გაიმართა აგრეთვე ქართველ-ოსთა ურთიერთობის საკითხებზე. დაგმეს ისინი, ვინც ძმობაში ცდილობს ბზარის გაჩენას.

ქართველები და ოსები ჩვენში არ ანსხვავებენ ერთმანეთს. მთავარია კაცი იყავ და სითბო და სიყვარული არ მოგაკლდება. რაც შეეხება უქნარა და ალოღებულ კაცს, იგი ადგილს ვერსად ვერ იგუებს. განა ცოტა ოსი წავიდა ოსეთიდან? ვთქვათ, რომ ისინი ქართველებმა აიძულეს? არა, ამის მიზეზი სხვაა. ზოგიერთი იქ მიდის, სადაც უკეთ იცხოვრებს. ყველას დიდი პატრიოტიზმი როდი ამოძრავებს. ასე რომ, მეტი სიდინჯე და დაფიქრება გვმართებს.

მინდა მოვიყვანო ერედველთა კრებაზე გამოსულთა—სახელოვანი მუშა ქალის ვარა ტურაშვილისა და კაცურ კაცად აღიარებულ ჩერმენ არსოევის სიტყვები.

— მაღალი მთის სოფელ წიფორში დავიბადე 1939 წელს, — თქვა ჩერმენმა. ომის შემდგომ აქ ჩამოვსახლდით. მეტად გულთბილად მიიღო ჩვენი ოჯახი ქართულმა სოფელმა. ბინის მშენებლობაშიც ხელი შეგვიწყეს. ასეთი გულღია მასპინძელი ვის არ ეყვარება? ქართველ ბიჭებთან ძმებივით ვიზრდებოდით. ნამცეცი წყენა არ მახსოვს, თუ ბავშვობაში წავჩხუბებულვარ, ისიც ოს ბიჭებთან. ცხოვრების ასპარეზზე ქართველთა ხელშეწყობით გამოვედი და, რა თქმა უნდა, ამ მადლიერ კვალს გულის სიღრმიდან ვერაფერი ამოშლის. ორი ქალიშვილი გავზარდე და ორივე ქართველ ვაჟკაცებს მივათხოვე.

— ბევრი ჭირვარამი გვინახავს, ჩვენს მხრებზე გადაგვიტანია დიდი სამამულო ომის სიმძიმე, — ყვება ვარა ტურაშვილი, დუხჭირ ცხოვრებას ბევრჯერ გაუწამებივარ, მაგრამ ასეთი განცდა ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მქონია. როდის უთქვამს ქართველს ოსისათვის წინა ზიხარ, უკან დაიწიო. როდის იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვასხვავებდით? ჩემს კალთაში ჩემს შვილთან ერთად ვზრდიდი ოსის ბიჭს, ერთ ძუძუს ვაწოვებდი ორივეს. ახლა ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს — ჩემს თექვსმეტივე ვაჟკაცს ოსი ქალიშვილები ჰყავთ ცოლად. ომის შემდგომ დასახლდნენ ჩვენს გვერდით ჩიხანთურიდან, წიფორიდან, ინაურიდან ჩამოსული ოსები და ღვიძლი ნათესავებივით შევიყვარეთ ერთმანეთი. ვინც ცდილობს ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდებას, უნდა შევრისხოთ ასეთები.

ნამდვილი მუშა ხალხის ნათქვამი გულში ჩამრჩა და ამ წერილის დაწერაც მამა[illegible] ანთებულმა გულებმა მი[illegible]დღეს ყველას გვჭირდებ[illegible]რება.

[illegible]ბი არჩვაძე,
საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის მეორე მდივანი.

სოფელი: დღის საზრუნავი

50 ჰექტარზე მეტ ფართობზეა გადაჭიმული ჩაის პლანტაციები გალის რაიონის სოფელ წარჩის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში. მეჩაიეებმა წელს იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 470 ტონის ნაცვლად მოკრიფონ 500 ტონა ნედლეული.

საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსის უხვ მოსავალს მოელიან, დასახულია დიდი მიზნები მეცხოველეობაში, მებოსტნეობაში, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანაში.

მოგება—სოციალურ განვითარებას

საგრძნობი მოგება მოაქვს ყოველი დარგის განვითარებას. ეს საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანი სახსრები მოახმარონ საბჭოთა მეურნეობის მუშათა სოციალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებას.

უკანასკნელი წლების მანძილზე სოფელში აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღის, მაღაზიის, სასადილოსა და სხვა სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შენობები. მალე აშრიალდება სოფლის კულტურისა და დასვენების პარკი. თითქმის ამ დღეებში დაიწყება საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახლის მშენებლობა. ხორცი ესხმება სოფლის მცხოვრებთა დიდი ხნის ოცნებას — გაჰყავთ წყალსადენი. გათვალისწინებულია სოფლის კეთილმოწყობა — 300-ადგილიანი კლუბის, ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.

სურათებზე: მოწინავე მეჩაიე ანელა გაბელია; № 7 ბრიგადის ჩაის პლანტაციები, რომელიც ახლოს არის წლიური დავალების შესრულებასთან. ბრიგადაზე გაპიროვნებული 10 ჰექტრიდან მეჩაიეები ყოველ ჰექტარზე გეგმირდებიან 12-12 ტონა ნედლეულის მოკრეფას.

საქინფორმის ფოტო.

თვალსაზრისი

„საერთაშორისო ნორმების დაცვით", თუ ოკუპაცია?

წერილი პირველი

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ისტორიის 1917-1921 წლების პერიოდის შესახებ შექმნილია არა ერთი და ორი ფუნდამენტური გამოკვლევა და დიდძალი პრობლემური ხასიათის საჟურნალო და საგაზეთო სტატია, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ პერიოდის მთელი რიგი პრობლემის დამუშავებაში ბევრი საყურადღებო წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა ნიჭიერმა მკვლევარებმაც, მწერლებმაც, ჟურნალისტებმაც.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია მწვავე პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც, ერთი მხრივ, პრობლემის სირთულის, ხოლო, მეორე მხრივ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძნელად გადასალახი შემზღუდველი მიზეზების არსებობის შედეგად დღემდე პასუხგაუცემელი რჩება.

ასეთ განსაკუთრებით მწვავე საკითხთა რიცხვს ეკუთვნის საკითხი იმის შესახებ, მოხდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება „საერთაშორისო ნორმების დაცვით", როგორც ამას ლენინი მოითხოვდა, თუ უბრალოდ მე-11 არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია.

აღნიშნულ პრობლემაზე მოყოლებული 1921 წლიდან უკანასკნელ დრომდე არსებობდა ორი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული შეხედულება:

პირველი. უკლებლივ ყველა ქართველი ისტორიკოსის, მათს შორის ამ სტრიქონების ავტორის მტკიცებით, 1921 წლის 11 თებერვალს ვითომც საქართველოში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელიც მალე გავრცელდა მთელს მის ტერიტორიაზე, და, რომ ვითომც მთავრობის ჯარების მხრივ დამარცხებისაგან მათი ხსნის მიზნით მოწვეულ იქნა მე-11 არმია.

მეორე. საწინააღმდეგო ვერსიის თანახმად, რომელიც ასევე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში წარმოიშვა, მოხდა საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მე-11 არმიის მიერ. ამ ვერსიის პროპაგანდას, არ არის დასამალი, ეწეოდნენ უმთავრესად საქართველოს ემიგრანტული მთავრობა და ბურჟუაზიული პრესა.

უკანასკნელ პერიოდში, უფრო ზუსტად ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მეორე ვერსიას, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდა, ბევრი მომხრე აღმოაჩნდა ქართველ ისტორიკოსთა შორისაც. ისტორიკოსთა ნაწილმა — ზოგიერთმა გაბედულად, ზოგიერთმა კი ფეხის თრევით, უკვე მოასწრო, ცხადია, არა ამ მეორე ვერსიის პოპულარობის გავლენით, არამედ თავისი მეცნიერული სინდისის კარნახით გადაესინჯა თავისი წინანდელი, კონიუნქტურის გავლენით ჩამოყალიბებული დებულებები და მოეცათ ახალი დასკვნები, რომლებიც საგრძნობლად გვაახლოებენ ჭეშმარიტებასთან.

მაგრამ, ვფიქრობთ, არ გვიწყენს არც ერთი ჩემი კოლეგა, განსაკუთრებით კი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ავტორები, თუ ვიტყვით, რომ დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვება ბოლომდე არგუმენტირებული პასუხი კითხვაზე, თუ რატომ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ოკუპაციად მის ტერიტორიაზე მე-11 არმიის ნაწილების შემოყვანა.

არ უნდა იყოს საკამათო, რომ მე-11 არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფაქტის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, ითქვას სიტყვები: 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა საქართველოს ოკუპაცია. არა, ეს საკითხი გაცილებით რთულია. ემოციები, არგუმენტი როდია. აქ საჭიროა ისტორიკოს მეცნიერ-მკვლევართა და მეცნიერ-იურისტთა კოლექტიური აზრი, საჭიროა რაც შეიძლება ზუსტად, მშვიდად, წინდახედულად და თვალსაჩინოდ ჩამოვაყალიბოთ დასკვნები.

წინამდებარე სტატიის ამოცანაც სწორედ აღნიშნულ საკითხზე კოლექტიური აზრის შემუშავებაში გარკვეული წვლილის შეტანასა და საკითხის კონკრეტულად დაყენებითა და კონკრეტული პასუხებით ჭეშმარიტებასთან მიახლოვებას ისახავს მიზნად.

მართლაც, რატომ მიიღო საქართველოში მე-11 არმიის ოპერაციებმა ოკუპაციის ხასიათი? ჩვენის აზრით ეს შეიძლება აიხსნას შემდეგი ხუთი ძირითადი მიზეზით:

პირველი. როგორც ცნობილია, 1921 წლის 25 თებერვლისათვის საქართველოს უკვე ჰქონდა სახელმწიფოებრიობის აღდგენის 2 წლისა და 9 თვის ისტორია. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც შეიქმნა 1918 წლის 25 მაისს, შეძლო მრავალი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელება. შექმნა სახელმწიფო აპარატი, მიღებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, შექმნა საკუთარი საფინანსო სისტემა, ჰყავდა თავისი რეგულარული არმია, დაშვებულ იქნა პრესისა და სიტყვის თავისუფლება, განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება ეროვნული კულტურის აღორძინებისა და განვითარების დარგში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მსოფლიოს თითქმის ყველა მთავარ სახელმწიფოსთან ჰქონდა დამყარებული კავშირურთიერთობა და სხვ.

ყველაფერი ეს იმას მიუთითებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით სახეზე იყო სახელმწიფო ყველა თავისი ატრიბუტით. ამ სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მმართველი პარტიის ინტერესები საკმაოდ მჭიდროდ იყო დაახლოვებული შეძლებული კლასების ინტერესებთან და ამის გამო ყოველთვის არ ხერხდებოდა მშრომელთა მთელი რიგი არსებითი ხასიათის მოთხოვნების ბოლომდე შესრულება, მაინც მთელი სულითა და გულით უჭერდა მხარს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ცხადია, ყველაფერი ამის გამო მოულოდნელიც და გაუგებარიც გახდა როგორც რესპუბლიკის მთავრობის, ასევე მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისათვის მე-11 არმიის მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვა და საომარი ოპერაციების გაჩაღება.

ამრიგად, უგულებელყოფილ იქნა ლენინის მითითება „საერთაშორისო ნორმების დაცვით" მე-11 არმიის ნაწილების მოქმედების შესახებ. სწორედ ამის გამო მიეცა მე-11 არმიის ოპერაციებს ოკუპაციის ხასიათი, თუმცა ამ ოპერაციების ძირითადი მიზანი, ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმისათვის ხელის შეწყობა.

მეორე. მე-11 არმიამ საქართველოს ტერიტორია გადმოლახა და საბრძოლო ოპერაციები დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე 12 დღით ადრე, 11 თებერვალს, ე. ი. ვიდრე ამის თაობაზე განკარგულებას გასცემდნენ ვ. ი. ლენინი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ან კიდევ სანამ დახმარების თაობაზე საქართველოს რევოლუციური კომიტეტი თხოვნით მიმართავდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სამი დოკუმენტი:

პირველი დოკუმენტი. ვ. ი. ლენინის მიერ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელზე 14 თებერვალს გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით (ხაზგასმა ჩემია — გ. ჟ.) და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს. გაფრთხილებთ, რომ უპუროდ ვზივართ ტრანსპორტის გამო, ამიტომ არც ერთ მატარებელს და არც ერთ ვაგონს არ მოგცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან ვზიდოთ მხოლოდ პური და ნავთობი. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ პასუხს პირდაპირი მავთულით მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრის, აგრეთვე სმილგას, გიტისის, ტრიფონოვისა და ფრუმკინის ხელმოწერით. ყველა ამ პირთა დეპეშებზე ჩვენი პასუხის მიღებამდე გადამწყვეტი არაფერი წამოიწყოთ".

მეორე დოკუმენტი. ვ. ი. ლენინის მიერ მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სახელზე 15 თებერვალს გაგზავნილი დეპეშა:

„ცეკას მიაჩნია, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს, თუ ეს საჭირო იქნა სამხედრო მოსაზრებებით ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის ახალი თავდასხმისაგან. იმედი გვაქვს, რომ თქვენ მთელი სერიოზულობით გაითვალისწინებთ ჩვენი გაფრთხილებანი. შეგვატყობინეთ ამბავი ყოველდღე".

მესამე, ასევე საყურადღებო დოკუმენტი. 16 თებერვალს საქართველოს რევკომმა თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინს საქართველოს აჯანყებული მშრომელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მასში ნათქვამია:

„საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც იშვა მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხთა მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში, აღფრთოვანებულ სალამს უგზავნის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ სამი წლის მანძილზე ნასაზრდოებმა მენშევიკების მთავრობამ შექმნა საკუთარი პოლიციური და სამხედრო აპარატი მშრომელთა დასათრგუნავად. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების კოალიციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელები სუსტი იყვნენ და ყველა ცდა — დაემხოთ მოძალადეთა უღელი, დამარცხებით მთავრდებოდა. მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ისწრაფვიან ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული შავი ლაშქრის დაწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს შეუძლია. ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუცია, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას".

პირველი დოკუმენტი მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გაეგზავნა არმიის მიერ სამხედრო ოპერაციების დაწყებიდან სამი დღის შემდეგ, მეორე დოკუმენტი — ოთხი დღის, ხოლო რევკომის დოკუმენტი — ექვსი დღის შემდეგ.

აქედან გამოდის, ჯერ-ერთი ის, რომ აღნიშნულ დოკუმენტებს, კერძოდ, ლენინის დეპეშებს, როგორც დაგვიანებულს, თითქმის დაკარგული ჰქონდა სახელმძღვანელო მნიშვნელობა. მეორე, მე-11 არმიამ გადმოლახა საქართველოს ტერიტორია და დაიწყო სამხედრო ოპერაციები ყოველგვარი საბაბის გარეშე, ე. წ. აჯანყება, რომელიც თითქოს ამართლებდა მე-11 არმიის შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტიურად არ მომხდარა. ასევე არ შეიძლება მე-11 არმიის ოპერაციების საბაბად მივიჩნიოთ საქართველოს რევკომის 16 თებერვლის მიმართვა რუსეთის საბჭოთა მთავრობისადმი სამხედრო ძალებით დახმარების თაობაზე, რადგან ამ მიმართვამდე 6 დღით ადრე მე-11 არმიის ნაწილები უკვე ეწეოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციებს. და მესამეც, ლენინის ორივე დოკუმენტში აშკარად იგრძნობა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლენინისათვის მიწოდებული არასწორი ინფორმაციების გავლენა.

მესამე. ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა. ნაცვლად იმისა, რომ მათ მოეწყოთ აჯანყება საქართველოს რომელიმე მაზრაში, სადაც კი ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები არსებობდა, — ასეთი კი ბევრი იყო, — მოაწყვეს „აჯანყება", როგორც თვითონ წერდნენ, სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ერთ პატარა სოფელში, რითაც ხელოვნური საბაბი შექმნეს საქართველოს ტერიტორიაზე მე-11 არმიის ნაწილების შემოსაყვანად, ვ. ი. ლენინის, რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობილი საქართველოს სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასამხობად.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც საქართველოს ტერიტორიის გადმოლახვა სხვა სახელმწიფოს ჯარის ნაწილების მიერ, ისიც ყოველგვარი საბაბის გარეშე, მე-11 არმიის ოპერაციებს აძლევდა ოკუპაციის ხასიათს, ვინაიდან ამ ოპერაციებს არაფერი ჰქონდა საერთო „საერთაშორისო ნორმების დაცვასთან", რომელსაც გადაჭრით მოითხოვდა ვ. ი. ლენინი.

მეოთხე. საქართველოს საზღვრების გადმოლახვისთანავე მე-11 არმია უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდა უთანასწორო ბრძოლის შედეგად უკანდახეულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილებს, ჟლეტდა მათ, ატარებდა აშკარად აგრესიულ, შოვინისტურ პოლიტიკას ქართველი ერის მიმართ, აბუჩად იგდებდა ახალი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ერთი სიტყვით, საქართველოში მე-11 არმიის სამხედრო ოპერაციები თავისი ხასიათით ოდნავადაც არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი საოკუპაციო ჯარების მოქმედებისაგან:

ყველაფერმა ამან ხალხის თვალში დასცა მე-11 არმიის სახელი. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ მე-11 არმიის სამხედრო ოპერაციების აგრესიულმა, ოკუპანტურმა ხასიათმა მალე გამოიწვია პროტესტების ტალღა.

ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, 1921 წლის 10 მარტს გამაფრთხილებელ დეპეშას უგზავნის მე-11 არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, ასლებს: კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, საქართველოს რევკომს და ს. ორჯონიკიძეს. მასში ნათქვამია:

„იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ".

ვ. ი. ლენინის ეს სახელმძღვანელო მნიშვნელობის რჩევები მე-11 არმიის მიერ საომარი ოპერაციების პირველი დღეებიდანვე იქნა დარღვეული. გარდა ამისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლენინის მიერ ასეთი შინაარსის დეპეშების გაგზავნა იყო შედეგი იმ საგანგაშო ცნობებისა, რომელიც იგზავნებოდა ცენტრში მე-11 არმიის ნაწილებისა და მათი მეთაურების შეუფერებელი საქციელის გამო, რომელიც შეუთავსებელი იყო საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის „მშვიდობისმყოფელის როლთან", როგორც ამის შესახებ წერდა ვ. ი. ლენინი.

მეხუთე და უკანასკნელი. მე-11 არმიის ოპერაციებს უფრო მეტად საოკუპაციო ჯარების ხასიათს აძლევდა ისიც, რომ როცა ამ არმიამ დაარღვია საქართველოს საზღვრები და გააჩაღა საომარი ოპერაციები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ რადიოთი მიმართა ლენინსა და ტროცკის თხოვნით შეეწყვიტათ საომარი მოქმედება და გაემართათ მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან, ეცნობებინათ მისთვის, თუ რას მოითხოვდა რუსეთის მთავრობა საქართველოს მთავრობისაგან და რა მიზეზით დაიწყო მან ომი. „შეიძლება ჩვენ დაგეთანხმოთ ყველაფერზე, გარდა ერთისა, — უარი ვთქვათ დამოუკიდებლობაზე, ეროვნულ სუვერენიტეტზე", — აცნობებდა ჟორდანია ლენინსა და ტროცკის. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ჟორდანიას თხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მხოლოდ მაშინ გამოაგზავნა საქართველოში საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი თავისი წარმომადგენელი, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და როცა დამარცხებული რესპუბლიკის მთავრობის წევრები მზად იყვნენ საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის.

საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ჟორდანია ბათუმში ხვდება კომუნისტების ჯგუფს, რომელსაც მიმართა თხოვნით: „ჩვენი საერთო ინტერესებისათვის ბათუმი და მისი ოლქი უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში, სულერთია რა რეჟიმიც არ უნდა არსებობდეს მასში. თუ თქვენ შესძლებთ, იმუშავეთ ამ მიმართულებით, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს ბათუმიდან თურქების განდევნაში".

ამ მოკლე, მაგრამ დიდის გულისტკივილით აღსავსე სიტყვებით დაამთავრა ჟორდანიამ თავისი მოკლე საუბარი კომუნისტების ჯგუფთან და თავის მთავრობასთან ერთად წავიდა ეროვნული დროშით საზღვარგარეთ.

ასე დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებელი, სუვერენული, თავის სახლში ბატონ-პატრონის უფლებების მქონე დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ისტორია.

ჩვენის აზრით, ასეთია ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც მე-11 არმიის ნაწილების მიერ თითქოს ყოველგვარი საბაბის გარეშე ჯერ საქართველოს საზღვრების დარღვევას, და შემდეგ მთელს მის ტერიტორიაზე საომარი ოპერაციების გაჩაღებას, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიზანს ისახავდა ეს ოპერაციები, უდავოდ აძლევს მას ოკუპაციის ხასიათს.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებშივე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაჩაღდა უაღრესად ფართო კამპანია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გმობდნენ მას „საქართველოს ოკუპაციისათვის", „საქართველოს მუშებისა და გლეხების მიერ შექმნილი სახელმწიფოს განადგურებისათვის". „დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად სამხედრო დიქტატურისა და თვითნებობის დამკვიდრებისათვის", „კრემლის მიერ საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის დამკვიდრებისათვის", „საქართველოში ძალადობის პოლიტიკის დამკვიდრებისათვის" და ა. შ.

საქართველოს გასაბჭოების გამო რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში გაჩაღებულ კამპანიასთან დაკავშირებით ლენინი გადაჭრით აყენებს საკითხს „კონტრაგიტაციის დაწყების" შესახებ. კერძოდ, იგი ორჯონიკიძის სახელზე 1921 წლის 18 აპრილს ერევანში გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვდა:

„საჭიროა, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფელური როლი, მეორე — საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა მასების აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხვეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს როგორც სომეხ და თათარ, ისე ქართველ აჯანყებულებს თვითდაცვის მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ, იმ მთავრობისა, რომელმაც თბილისში ჩამოაყალიბა აზერბაიჯანისა და სომხეთის ბურჟუაზიული მთავრობები სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის შიგნიდან ასაფეთქებლად.

დეპეშის დასასრულს ლენინი მოითხოვდა ორჯონიკიძისაგან, რომ მას „გულმოდგინედ" შეეგროვებინა მასალები „საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და თან ჩაეტანა „მოსკოვში პლენუმზე".

ვ. ი. ლენინის ეს დავალება პირნათლად იქნა შესრულებული ორჯონიკიძისა და საქართველოს რევკომის მიერ. გაჩაღებული იქნა ფართო მასშტაბით „კონტრაგიტაცია", მაგრამ მიუხედავად ამისა, დღესაც თითქმის პირვანდელი ძალით გრძელდება აგიტაცია „საქართველოს გასაბჭოებასთან" დაკავშირებით.

• • •

ვფიქრობთ, თუ საბჭოთა რუსეთის მთავრობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დამოკიდებულებაში ბოლომდე დაიცავდა „საერთაშორისო ნორმებს", თუ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები არ გამოიჩენდნენ ყოვლად გაუმართლებელ აჩქარებას, გამორიცხული არ იქნებოდა ლენინის რჩევის შესაბამისად გამონახულიყო ჟორდანიას ან მსგავსი მთავრობის სხვა წევრებთან ბლოკისათვის მისაღები კომპრომისი და ამით თავიდან აგვეცდინა ერისათვის ბევრი მაშინდელი ტრაგედია.

მაგრამ ამ ტრაგედიების გამო ნუ მოვეპყრობით საქართველოს საბჭოთა ისტორიას ლენინის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „გულმავიწყ ივანესავით", ნუ ვიქნებით აგრესიულნი წარსულის მიმართ. ძალზე ბევრი რამ მისცა ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლებამ.

მაგრამ ისიც მთელი ხმით უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ეროვნულმა საკითხმა ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში, ძალიან უმნიშვნელო ნაბიჯი გადადგა ლენინური პოლიტიკის შესაბამისად გადაწყვეტისაკენ. უფრო მეტიც, ამ სფეროში ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობა „შუასაუკუნეობრიობის გადმონაშთები".

გრიგოლ ჟვანია.

უცხოეთში

საქდესი [illegible]
9 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პორტუგალია

მოქმედებს ახალი კონსტიტუცია

ლისაბონი. **პორტუგალიაში ძალაში შევიდა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. წინა კონსტიტუციის გადასინჯვაზე ინიციატივით გამოვიდა პორტუგალიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ფლობს აბსოლუტურ უმრავლესობას რესპუბლიკის პარლამენტში.**

გადასინჯვის შედეგად, 1974 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ მიღებული კონსტიტუციიდან ამოიღეს ძირითადი მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ნაციონალიზაციას, აგრარულ რეფორმას, მსხვილი ლატიფუნდიების გაუქმებას, სოციალიზმს, როგორც ქვეყნის განვითარების საბოლოო მიზანს.

კონსტიტუციის გადასინჯვის წინააღმდეგ გამოვიდნენ დეპუტატები პორტუგალიის კომუნისტური პარტიიდან და პორტუგალიის ეკოლოგიური, ეგრეთ წოდებულ „მწვანეთა", პარტიიდან. მათ მხარი დაუჭირა ბევრმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა.

◉ იაპონია

აირჩიეს პარტიის თავმჯდომარე

ტოკიო. 58 წლის ტოსიკი კაიფუ აირჩიეს იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ. აქამდე ლიბერალურ დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო სოსუკე უნო, რომელმაც მოიხსნა უფლებამოსილება პარლამენტის ზედა პალატის არჩევნებში კონსერვატორთა ამასწინანდელი დამარცხების შემდეგ.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან წარგზავნილი ორივე პალატის 404 დეპუტატისა და პარტიის პრეფექტურების განყოფილებათა 47 წარმომადგენლის საერთო კრებაზე ტ. კაიფუმ 279 მონაწილის მხარდაჭერა მოიპოვა, და მნიშვნელოვნად გაუსწრო თავის კონკურენტებს.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევნები მიმდინარეობდა ყველაზე მწვავე კრიზისის ვითარებაში, რომელიც ოდესმე ჰქონია მმართველ პარტიას ხელისუფლების სათავეში 34 წლის მანძილზე მისი ყოფნის ისტორიაში. ბოლო თვეების მანძილზე მმართველი პარტია უკვე მეორედ აღმოჩნდა ულიდეროდ. გაზაფხულზე კომპანია „რიკრუტის" ირგვლივ ატეხილ ფინანსურ სკანდალში გარევის გამო, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა პრაქტიკულად ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მთელი ხელმძღვანელობა — იძულებული გახდა გადამდგარიყო მაშინდელი მთავრობის მეთაური ნობორუ ტაკესიტა. 23 ივლისის არჩევნებში ლიბერალ-დემოკრატებმა პირველად დაჰკარგეს უმრავლესობა ზედა პალატაში. ამ პირობებში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გავლენიანი ფრაქციების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს დაეწინაურებინათ ტოსიკი კაიფუ იმ იმედით, რომ „ახალგაზრდა მოღვაწე" შეძლებს გაუმკლავდეს ოპოზიციის აქტიურ მოქმედებას.

ოთხშაბათს მმართველი პარტია კაიფუს კანდიდატურას დაასახელებს იაპონიის მთავრობის მეთაურის პოსტზე.

ტ. კაიფუ დაიბადა 1931 წელს ქალაქ იტინომიაში (აიტის პრეფექტურა). მომავალმა პრემიერმა სტუდენტობის წლებშივე გამოიჩინა თავი, როდესაც ვასედას პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლობდა და რამდენჯერმე გაიმარჯვა იქ გამართულ ორატორთა კონკურსებში.

პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატად რომ აირჩიეს, ტ. კაიფუ 29 წლისა იყო. — ეკავა მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობანი, იყო ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, განათლების კომისიის თავმჯდომარე, მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივნის მოადგილე, ორჯერ ეკავა განათლების მინისტრის პოსტი, 1976-1977 და 1985-1986 წლებში.

ტოსიკი კაიფუს და მის 56 წლის მეუღლეს იუკიოს ჰყავთ ორი შვილი — ქალ-ვაჟი.

● ერაყი

მტკიცე სამშვიდობო გადაწყვეტილება

ბაღდადი. ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა მხარი დაუჭირა ირანთან საზავო ხელშეკრულების დადებას. ირან-ერაყის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილ მიმართვაში ერისადმი, რომელიც ერაყის რადიოთი და ტელევიზიით გადაიცა, პრეზიდენტი აცხადებს, რომ „მარტოოდენ ცეცხლის შეწყვეტა არ კმარა მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად. ჩვენ ვესწრაფვით ყოვლისმომცველი, სრული და ნათელი საზავო ხელშეკრულების დადებას". პრეზიდენტმა ხალხი გააფრთხილა, რომ თუ საზავო ხელშეკრულებას არ დადებენ ამან შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები რეგიონში.

პრეზიდენტმა ჰუსეინმა განაცხადა, რომ ერაყი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საბოლოოდ მოაწესრიგოს ირანთან ურთიერთობა. კერძოდ, მან საჭიროდ ცნო სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხის დადებითად გადაწყვეტა. ერაყის შეიარაღებულ ძალებში განხორციელდა ნაწილობრივი დემობილიზაცია, რაც პრეზიდენტის აზრით კეთილი ნების კიდევ ერთი გამოვლენაა.

● ისრაელი

მოვლენათა კულისებს მიღმა

კაირო. როგორც ეგვიპტის გაზეთი „ალ-ვაფდი" იუწყება, „ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამი მაღალი თანამდებობის ოფიცერი მონაწილეობს შიიტი შეიხის ობეიდას დაკითხვებში, რომელიც ისრაელმა კომანდოსებმა დაატყვევეს". გაზეთი იმოწმებს ისრაელის უშიშროების ძალების წარმომადგენელს და წერს, რომ ამერიკელი „ექსპერტები" იერუსალიმში ჩავიდნენ ისრაელის მხარის თხოვნით „შეიხ ობეიდას საქმის გამოძიებაში დახმარების გასაწევად".

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ქაბული.** ექსტრემისტებმა კვლავ მასირებულად დაუშინეს რაკეტები ავღანეთის დედაქალაქს. ერთი რაკეტა „არიანის" ბაზარში ჩავარდა, მეორე სასტუმრო „ინტერკონტინენტალს" დაეცა და დიდი ზარალიც მიაყენა. როგორც ბახთარის სააგენტო იტყობინება, ქალაქში „დედამიწა — დედამიწის" კლასის 38 რაკეტა ჩავარდა, დაიღუპა და დაშავდა 18 კაცი.

● **ლონდონი.** ბრიტანეთის პაციენტთა გაერთიანებული ასოციაციის სამედიცინო ცენტრის სპეციალურ განყოფილებაში უჩვეულო გამოცოცხლება იყო. იქ ადრე დილიდანვე დაიწყო 150 კანდიდატის შემოწმება, რომლებიც შერჩეული არიან 1991 წლის გაზაფხულისათვის დასახული საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივი კოსმოსური ფრენისათვის. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ანკეტური მონაცემების საფუძველზე შერჩეული კანდიდატები ყოველდღიურად გაივლიან სამედიცინო შემოწმებას, რის შემდეგაც ცნობილი გახდება იმ 25 ბრიტანელის სახელი, რომელთაგან 4 წლეულს ნოემბერში საბჭოთა კავშირში გამოემგზავრება წვრთნის საბოლოო სტადიის გასავლელად. ერთ-ერთი მათგანი მონაწილეობას მიიღებს ერთობლივ კოსმოსურ ფრენაში.

● **პეკინი.** აქ გამოაცხადეს, რომ შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთსა და გრენადას შორის. პრესაში გამოქვეყნებულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია: ჩინეთმა ეს ნაბიჯი გადადგა იმასთან დაკავშირებით, რომ გრენადის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ტაივანის ხელისუფლებასთან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ჩინეთის ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, ტაივანი კი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია.

ფოტოინფორმაცია

სურათზე: „იტაი-იტაით" დაავადებულნი ტოკიოს ერთ-ერთ საავადმყოფოში.

იაპონიისათვის გარემოს გაჭუჭყიანების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული შედეგია ავადმყოფობა „იტაი-იტაი" (რაც ქართულად „მტკივა-მტკივას" ნიშნავს).

ამ ავადმყოფობას აჩენს ადამიანის ორგანიზმზე კადმიუმის, თუთიის დამზადების დროს წარმოქმნილი მავნე პროდუქტის მოქმედება. სასმელ წყალში, ხოლო შემდეგ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი კადმიუმი შლის ძვლის ქსოვილს, რაც აუტანელ ტკივილებს და ფსიქიკურ მოშლილობას იწვევს. „იტაი-იტაის" მსხვერპლთა რაოდენობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუმცა ათასობით უნდა იყოს.

ღრმა კვალი

პროკოფი რატიანის დაბადების

75 წლისთავის გამო



წლეულს დაბადების 75 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ პროკოფი რატიანს. იგი ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში დაიბადა, მუშის ოჯახში. საშუალო განათლება ჭიათურაში მიიღო, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. შრომითი საქმიანობა დაიწყო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქციაში, შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ, რედაქტორად.

მეცნიერების ცნობილი ორგანიზატორი და პარტიული მუშაკი პ. რატიანი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს, მუშაობდა პარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახკოლო და სამეცნიერო განყოფილების გამგედ.

ნიჭიერ ახალგაზრდას აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ 1945 წელს ურჩია ხელი მოეკიდა XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების — თერგდალეულების, უწინარესად კი მათი იდეური ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლისათვის. ამ პრობლემის კვლევის იმდროინდელი დონე არ იყო დამაკმაყოფილებელი. პ. რატიანი 40 წელზე მეტ ხანს იკვლევდა XIX ს-ის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მის განმაპირობებელ ვითარებას, რომელიც ქართველი საზოგადოების წოდებრივ თუ კლასობრივ ძალთა განლაგებას განსაზღვრავდა. ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთმანეთთან კავშირის გააზრებით პ. რატიანმა ღრმად შეისწავლა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობა და შემოქმედება. 122 გამოქვეყნებული ნაშრომიდან, რომელთა შორის 15 მონოგრაფიაა, მეცნიერმა უმეტესობა ზემოხსენებული პრობლემის კვლევას მიუძღვნა. ქართული ისტორიოგრაფიის დიდი შენაძენია პ. რატიანის „რჩეული ნაწერების" სამტომეული (1984, 1985), რომელიც დიდი ილიას საიუბილეოდ გამოიცა.

პ. რატიანის თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები 1860-1870-იან წლებში იყვნენ არა თავადაზნაურობისა ან ბურჟუაზიის იდეოლოგები, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არამედ ქართველი მშრომელი ხალხის, პირველ რიგში გლეხობის ინტერესების გამომხატველნი და დამცველნი. მან პირველმა ცხადყო, რომ თერგდალეულთა იდეოლოგიაში სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა ორგანულად დაუკავშირდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას. ეს გარემოება თერგდალეულთა რევოლუციურ დემოკრატიზმს თავისებურ ხასიათს ანიჭებდა. პ. რატიანის ახალი თვალსაზრისი საისტორიო მეცნიერებაში და ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში აისახა. პ. რატიანმა მწყობრი ისტორიული კონცეფცია შექმნა, რომლის საფუძველზე მან ჩვენ ისტორიოგრაფიაში პირველმა გამართა XIX ს-ის მეორე ნახევრის ისტორია. ამავე თვალსაზრისით გადასინჯა მან „დასების" გ. წერეთლისეული თეორია, თბილისის ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყების ადრინდელი შეფასება, გლეხთა განთავისუფლების საკითხებისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებისა თუ ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ევოლუციის უწინდელი შეხედულებანი და სხვ.

პ. რატიანმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ასევე პირველმა წამოაყენა დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული და დასაბუთებული მოსაზრება XIX ს-ის რეფორმამდელ საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობაზე. მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირსება მრავალფეროვანი საისტორიო წყაროების, მათ შორის, საარქივო პირველწყაროების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა და მათი მონაცემების ფართოდ გამოყენებაა. XIX ს-ის ისტორიის კვლევისადმი ასეთი ღრმა მიდგომა პ. რატიანსა და მის თანამედროვე ისტორიკოსებს წინამორბედთაგან მკვეთრად გამოარჩევს. XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიის პ. რატიანისეული კურსი ახალი სიტყვაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის შევიდა 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში", სრული სახით კი გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის" სამტომეულში. 1986 წელს ცალკე წიგნად გამოიცა პ. რატიანის „საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები".

საგანგებოდაა აღსანიშნავი პ. რატიანის დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიაში ლენინური ეტაპის დადგენაში. ამ საკითხის შესწავლას მან ორი ტომი მიუძღვნა. მნიშვნელოვანია მისი ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და ალ. წულუკიძის შეხედულებებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

ოც წელზე მეტი მუშაობდა პ. რატიანი ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზრის საკითხებზე. მან გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომები XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის თაობაზე, ადრეული ჰუმანიზმის ასახვაზე კაზა თორელის „დაწერილში", აბუსერიძე ტბელის თხზულების წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე.

პ. რატიანი სწავლობდა XII ს-ის საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. მისი დაკვირვების საგანი იყო „ქართლის ცხოვრებაში" ასახული ხალხის მასების პოლიტიკური და სოციალური აქტიურობის ფაქტები. დაბოლოს აღსანიშნავია მისი ორიგინალური თვალსაზრისი შოთა რუსთაველის ვინაობაზე, რის დასაბუთებასაც მან ორი წიგნი მიუძღვნა.

პ. რატიანის თვალსაჩინო დამსახურებად მიგვაჩნია საქართველოს ახალი ისტორიის, ისტორიის მეცნიერების ისტორიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის სპეციალისტთა მომზადება.

იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ვისაც პროკოფი რატიანთან უმუშავია, დაგვეთანხმება, რომ ეს ადვილიც იყო და ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ ახალი იდეებით მუდამ დამუხტული ნიჭიერი პიროვნება კოლეგებს უშურველად ეხმარებოდა, ძნელი კი იმიტომ, რომ მუშაობაში როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართაც მომთხოვნი იყო, საერთო საქმისადმი გულგრილობას და მუშაობაში უპასუხისმგებლობას არავის აპატიებდა. ამასთან, მეტად გულკეთილი, კეთილშობილი და მომხიბვლელი ადამიანი იყო. შინაგანი სამყაროთი გამორჩეულ პიროვნებას გარეგნული სილამაზე და მიმზიდველობაც უხვად ჰქონდა მომადლებული, ასეთი იყო ბატონი პროკოფი — მასწავლებელი და კოლეგა, მეგობარი და ამხანაგი. მან ქართული კულტურის ისტორიაში ღრმა და თავისებური კვალი დატოვა.

გრიგოლ მარგიანი,
უშანგი სიდამონიძე.

იქნება დავით აღმაშენებლის ძეგლი

დავით აღმაშენებლის ბრინჯაოს ძეგლი დაიდგმება თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე — ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც აკმაყოფილებს ფართო საზოგადოებრიობის სურვილს, მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. მან მოიწონა თბილისის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი წინადადება.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთავრობამ დაავალა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს იკისროს შემკვეთის ფუნქციები, შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და დადგენილი წესით შეუთანხმოს პროექტი საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს.

სსრ კავშირის ჟილსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს დაევალა უზრუნველყოს ძეგლის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს დაფინანსება.

(საქინფორმი).

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური თემა

მზრუნველებს ზრუნვა აკლიათ!

აბა, რა უნდა ითქვა, სწორია ეს ხალხი — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლები. ისინი მეტ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვენ, რათა ამით ახალი იმპულსი შეიძინოს ჩვენი ხელთუქმნელი ციხე-ტაძრებისა თუ ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციის, მოვლა-პატრონობის საქმემ.

საკითხები, რომელთა გადადება მართლაც აღარ შეიძლება, ადრეც დასმულა ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

— ალბათ, ნახავდით, — ამბობს ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გივი ბარათაშვილი**, — თებერვალში გამოქვეყნებულ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო პროგრამის პროექტში ვრცლადაა განსაზღვრული ჩვენი საზოგადოების როლი. მეტი საინტერესო პერსპექტივები, ჩემი აზრით, მას არ ჰქონია არსებობის 30 წლის მანძილზე, ოღონდ ყოველივე ეს რომ პრაქტიკულად განხორციელდეს და ქაღალდზე არ დარჩეს, აუცილებელია გაძლიერდეს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გარდა ამისა, ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმთან საჭიროა შეიქმნას საინფორმაციო სამსახური, რომელსაც სისტემატური კავშირი ექნება პრესასთან და რადიო-ტელევიზიასთან. საინფორმაციო სამსახურმა, როგორც სახელმწიფო პროგრამაშია აღნიშნული, თავი უნდა მოუყაროს კულტურის ძეგლების შესახებ ყველა შესაძლო ინფორმაციას, ისტორიულ წყაროებს, აზომვებს, რესტავრაციის პროექტებს, ეს საქმე კი რამდენიმე საშტატო ერთეულს მაინც ითხოვს.

შემდეგ: შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ საზოგადოება ყოველ წელს მილიონ მანეთზე მეტს გამოყოფს ძეგლთა რესტავრაციისათვის, არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად, ექსპედიციების მოსაწყობად, ქართული ხალხური რეწვის სახეობათა განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში, ახალგაზრდა რესტავრატორთა სტაჟირებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების სარესტავრაციო ცენტრებში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლისა და ფიქსაციისათვის, საშეფო მუშაობის გასაშლელად და ასე შემდეგ... ჰოდა, ამ დროს, პრობლემა გახდა საზოგადოებისათვის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ჰაერივით გვჭირდება ხან შეკეთებულ, რესტავრირებულ ძეგლამდე მიმღები კომისიის წევრების მისაყვანად, ხან ექსპედიციებისათვის, საერთოდ, ათასგვარი საქმისათვის. ახლა ჩვენი ყოველკვარტალური ჟურნალის „ძეგლის მეგობრის" საკითხი ავიღოთ: მას არა აქვს ინდექსი, ამდენად, უფლებაც არა აქვს გახდეს მრავალფეროვანი, ბეჭდოს მასალები ძეგლთა დაცვის პრობლემებზე, საჭირბოროტო საკითხებზე. დღესდღეობით იგი, ძირითადად, სამეცნიერო ხასიათისაა და ფართო მკითხველი, შეიძლება ითქვას, არც იცნობს. „ძეგლის მეგობარს" კი შეუძლია ერთ-ერთი პოპულარული ჟურნალი გახდეს... ის კი არა და, როგორმე, ყოველკვირეული გაზეთის გამოცემის უფლებაც უნდა მოვიპოვოთ. ეს არ არის ჩვენი აკვიატება, ეს მხოლოდ საქმეს არგებს და, ამდენად, ზემდგომი ორგანოების დახმარების დიდი იმედი გვაქვს... ამ საკითხებზე, ძალაუნებურად გადანასკვულია პოლიგრაფიული ბაზის საკითხი. ჩვენს მსგავს ორგანიზაციებს აქვს პოლიგრაფიული ბაზა, და საკმაოდ მაღალი დონისაც. საინტერესოა, ჩვენთვის რატომ უნდა ჭირდეს ამ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა? ჩვენ მხოლოდ უფლებას ვითხოვთ. ფული გვაქვს და გვინდა კეთილ, ეროვნულ საქმეს მოვახმაროთ...

საზოგადოების ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს ახალგაზრდული სექციებისა, რომლებიც სულ ორი წელია შეიქმნა საზოგადოების პრეზიდიუმთან და უკვე ბევრი კარგი საქმე ითავა. სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპეციალისტები, სტუდენტები თავიანთი ენთუზიაზმით ამტკიცებენ, რომ დიახაც შესწევთ ძალა და უნარი ქართული კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობისა. მათ გაინაწილეს საქმე. მაგალითად, ერთნი მუშაობენ ისტორიის ძეგლთა შესწავლასა და დაცვაზე, მეორენი — არქეოლოგიურ ძეგლებზე, სხვები არქიტექტურისა და მონუმენტური მხატვრობის, ისტორიული ქალაქებისა და სოფლების, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის ძეგლთა მოვლაზე ზრუნავენ.

— სექციები აწყობენ ექსპედიციებს, — გვეუბნება საზოგადოების სწავლული მდივანი **მაია ახანიძე**, — მართავენ სამეცნიერო სესიებს, სემინარებს, დისპუტებს, მათ ჩამოაყალიბეს საზოგადოებრივ ინსპექტორთა ჯგუფი, რომელშიც შედიან სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები. ეს ფორმა, ჩვენი აზრით, გამართლებულია, რადგან დღესდღეობით არსებულ ძეგლთა დაცვის ორ ინსპექციას უჭირს მიმდინარე თუ შესრულებულ სამუშაოთა კონტროლი, აღსადგენი თუ აღდგენილი ძეგლების მდგომარეობის გამომზეურება. გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოღვაწეობა უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს. ჩვენ ვერ ვიქნებით მხოლოდ დამფინანსებლები... მაგალითად, რატომ არ შეიძლება სწორედ საზოგადოებამ იკისროს ხალხური რეწვის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისათვის ზრუნვა?

— ასეც უნდა იყოს, — ერთვება საუბარში საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **გივი პაპალაშვილი**. — საზოგადოებასთან აუცილებლად უნდა შეიქმნას ხალხური მხატვრული რეწვის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც დაევალება დარგის საერთო მეცნიერული, მეთოდიკური, შემოქმედებითი, ტექნოლოგიური, ექსპერიმენტული, დაცვითი, საგამოფენო, საგამომცემლო და პოპულარიზაციის საქმის ხელმძღვანელობა.

საკოორდინაციო ცენტრთან უნდა შეიქმნას სამხატვრო საბჭო, რომელიც განიხილავს რესპუბლიკაში ამ დარგის ინდივიდუალურად, კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ საწარმოებში შექმნილ ნიმუშებს და იქნება ერთადერთი შემფასებელი ორგანო. აუცილებელია საკოორდინაციო ცენტრს კონსულტაციები გაუწიოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ.

ხალხური რეწვის ნიმუშების უმაღლეს დონეზე დამზადება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ნიმუშები დიდად მოსწონთ უცხოეთის ბაზრებზე, ეს კი თვითდაფინანსებაზე გადამსვლელი რესპუბლიკის ერთ-ერთი საარსებო წყარო უნდა გახდეს. ამიტომაც, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საწარმოო გაერთიანება „სოლანის" და სხვა უწყებებში შემავალი ხალხური ნაკეთობების გამომშვები საწარმოები უნდა გაერთიანდნენ და დაექვემდებარონ სამეცნიერო მეთოდიკურ-საკოორდინაციო ცენტრს. ჩვენ უნდა მოვიზიდოთ ხალხური რეწვის ცნობილი ოსტატები, შევუქმნათ მათ ნორმალური სამუშაო პირობები, ვფიქრობთ მათი შემოქმედებითი კავშირის შექმნასაც, რომელსაც, ალბათ, ძველთბილისურად უნდა დაერქვას „ამქარი". რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე საზოგადოებამ ოფიციალურად დააყენა საკითხი და ჩვენ ვიმედოვნებთ მის დადებითად გადაწყვეტას.

ჩვენ კიდევ ერთი მოსაუბრე გვყავს — ახალგაზრდა მეცნიერი **გიორგი მარჯანიშვილი**, — ძალზე დაბალია ძეგლების რესტავრატორების კვალიფიკაცია, — ამბობს იგი. — ალბათ საჭირო იქნება საზოგადოებამ მეტად იზრუნოს საზღვარგარეთის ქვეყნებში ახალგაზრდა რესტავრატორთა მივლინებისათვის. მაგრამ ვერავითარი კვალიფიკაცია ვერ უშველის რესტავრატორს, თუ შეგნებული არა აქვს, რომ საშვილიშვილო საქმეს ემსახურება, რომ სულის ნაწილის გაღებაა საჭირო ჩვენი საგანძურის აღდგენა-რესტავრაციისას...

საზოგადოების წესდებაში წერია, რომ მან უნდა უპატრონოს საქართველოს გარეთ არსებულ ძეგლებსაც. ჩვენ, შეიძლება, ხელი არ მიგვიწვდებოდეს თურქეთსა თუ პალესტინაში ნაგებ ქართულ ძეგლებზე, მაგრამ აზერბაიჯანში, სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში ან მოსკოვში და ლენინგრადში რომაა, იმათ ყოველმხრივ უნდა მივხედოთ...

მისახედია თბილისში თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებული ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სახლ-მუზეუმები, საერთოდ, ბევრი რამ არის მისახედი, და საჭიროა საქმე, საქმე ვაკეთოთ...

თვითონ საზოგადოების პრეზიდიუმი ანჩისხატის უბანშია, იქვე ახლოსაა დომენტი კათალიკოსის სასახლე, რომელშიც სულიერი კულტურის ცენტრის გახსნას ვარაუდობენ საზოგადოების მესვეურები.

ვილენ მარდალეიშვილი.

არჩუქეს ბავშვებს მუსიკა

„საუკეთესო სიმღერები — ბავშვებს" — ასეთი იყო ბავშვთა კოლექტივებისათვის სიმღერების შესაქმნელად რესპუბლიკური კონკურსების დევიზი. კონკურსი მოაწყვეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირმა.

და აი, ცნობილი გახდა გამარჯვებულთა სახელები.

პირველი პრემია მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტს არჩილ ჩიმაკაძეს სიმღერისათვის გოგებაშვილის „დედა ენა" (შოთა ნიშნიანიძის ლექსზე) სოლისტის, ორხმიანი გუნდისა და ფორტეპიანოსათვის.

მეორე პრემიით დაჯილდოვდა კომპოზიტორი დავით ტურიაშვილი მინიატიურა — ფანტაზიისათვის „ნამცეცას დილა" (გ. კავსაძის ლექსზე) და კომპოზიტორ რამაზ კემულარია სიმღერისათვის „აერობიკა" (მორის ფოცხიშვილის ლექსზე).

მესამე პრემიები დაიმსახურეს საქართველოს სახალხო არტისტმა შოთა მილორავამ სიმღერისათვის „ბუნება მოქანდაკეა" (გალაქტიონ ტაბიძის ლექსზე) გოგონების სამხმიანი გუნდისათვის, ახალგაზრდა კომპოზიტორმა გიორგი შავერზაშვილმა ორხმიანი სიმღერისათვის „თვალზე ცრემლს შეგამშრობთ" ნოდარ შამანაძის ლექსზე და კომპოზიტორმა რამაზ ქარუხნიშვილმა სიმღერისათვის ბავშვთა სამხმიანი გუნდისათვის ალექსანდრე აბაშელის ლექსზე.

ჟიურის აღიარებით კონკურსი სასარგებლო იყო.

(საქინფორმი).

ჯვარი. კახა ჩხატარაიშვილის ფოტო.

დავუბრუნოთ რაჭას ძველი ხელოსნობა

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა უმწვავესი პრობლემების წინაშე დგას საქართველოს მაღალმთიანი რაიონები მიგრაციის შედეგად.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რამ გამოიწვია ასეთი ვითარება, სად არის მისი გადაწყვეტის გზები? ამ კითხვებზე მე ჩემეული მოსაზრება და კონკრეტული წინადადებები მაქვს, რომელსაც მკითხველს ვთავაზობ.

ცნობილია, რომ მაღალმთიან სოფლებში იქ არსებული მკაცრი კლიმატური პირობების გამო მოსახლეობა მხოლოდ სამ-ოთხი თვეა დასაქმებული. სავსებით გასაგებია, რომ ჩვენს ეკონომიკურად ღარიბ ქვეყანაში ოთხი თვის მუშაობით თორმეტი თვის სარჩოს ვერ მოიწევს, სოფლის სოციალური განვითარებისათვის სახსრების დაგროვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჩვენი წინაპრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვანაირად წყვეტდნენ მათთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას;

რაჭველებმა, მაგალითად, ეს პრობლემა იმით გადაწყვიტეს რომ დურგლობა, კალატოზობა, ხაბაზობა ისწავლეს, ხოლო ვისაც მათი შესწავლის უნარი არ გააჩნდა, არც ხერხვას და მეკურტნეობას თაკილობდა და დადიოდნენ ყოველწლიურად, იძულებითი შესვენების თვეებში საქართველოს ბარში, ე. წ. „გარე სამუშაოზე". საიდანაც რაჭველებს შრომის საზღაურად უმეტესწილად კვების პროდუქტები და სამრეწველო საქონელი ჩამოჰქონდათ.

მთათუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში კი შინრეწვა ჩამოყალიბდა. ქსოვდა ამ კუთხის ხალხი ნოხებს, ფარდაგებს, ტანსაცმელს და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან მისი შეხამებით მტკიცედ მკვიდრდებოდა წინაპართა ადგილზე.

საქართველოში მრეწველობის არნახულმა განვითარებამ წვრილმანი ხელოსნობა დრო-ჟამის არქივს ჩააბარა, რის გამოც ახალმა თაობამ სხვა გამოსავალი იპოვა: მასიურად იწყო გადასახლება რესპუბლიკის ქალაქებსა და, რაც ყველაზე მეტად მტკივნეულია, რესპუბლიკის გარეთ. (არასრული მონაცემებით ამჟამად მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში რაჭიდან ჩასახლებული 40000-მდე ქართველი ცხოვრობს, რომელთა ასიმილაციის პროცესი დაჩქარებულად მიმდინარეობს).

ჩემის ღრმა რწმენით, სწორედ ხელოსნობის და შინრეწვის პროფესიათა გაქრობამ დაუდო სათავე საქართველოს მთიანი მხარის მიგრაციის პროცესს, რადგან მათ გარეშე ამ რეგიონებში მოსახლეთა ისედაც სიღარიბის ზღვარზე მყოფი საოჯახო ბიუჯეტი მკვეთრად შემცირდა.

ერთი სიტყვით სატკივარი სახეზეა და ახლა მთავარია, ვუმკურნალოთ მას. მე მგონია ამ სატკივარის პასუხი ჩვენი წინაპრების სამეურნეო საქმიანობაში იმალება, საქართველოს მთიან რეგიონებში ისევე უნდა აღსდგეს მეურნეობრიობის საუკუნეებით ნაცადი ფორმა — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობების გონივრული შერწყმა, მაგრამ სოფლად ხელოსნობა — რეწვის ძველი ტრადიციების აღდგენა თანამედროვე პირობებში არც ისე იოლი საქმეა, რადგან შრომის ძველი მეთოდები დღეს აღარ გამოდგება. მაგალითად, რაჭველმა გლეხმა სადურგლო ნაწარმი წინაპრების მიერ ნაქონი იარაღით (ხელის ხერხი, სატეხე, ხუშტარა, შალაშინი და სხვა) რომ აკეთოს ნაკეთობის მაღალი თვითღირებულების გამო გასაღების ბაზარი არ ექნება.

ამისათვის საჭიროა ხელოსნებს ჰქონდეთ შრომის თანამედროვე პირობები — კეთილმოწყობილი სახელოსნოები, აღჭურვილი მექანიკური დაზგა-დანადგარებით და მჭრელი იარაღით, ხოლო ამ დიდი და საკმაოდ რთული საქმის განხორციელებისათვის ფულია საჭირო.

და მაინც ჩემის ღრმა რწმენით მაღალმთიანი ქართული სოფლის აღორძინების მისია საქართველოს მრეწველობამ უნდა იკისროს. რადგან მხოლოდ მას გააჩნია ამის საჭირო მატერიალური სახსრები და საშუალებები.

ასეც არ იყოს, საქართველოს მრეწველობის მორალური ვალია დაუბრუნოს სოფელს ხელოსნობის მოსპობით და მუშახელის გადაბირებით აღებული თითქმის ერთსაუკუნოვანი გრძელვადიანი სესხი.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ქალაქებში განლაგებულ სამრეწველო საწარმოთა გაფართოება ქალაქის ფარგლებში კატეგორიულად უნდა აიკრძალოს, ხოლო განვითარების ფონდში არსებული თანხებით მაღალმთიანი რეგიონებისა და ბუნებრივი პირობებით ღარიბი რაიონების მაღალმთიან სოფლებში (და არა რაიონულ ცენტრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დროთა განმავლობაში სოფლების ხარჯზე თვით ეს რაიონული ცენტრები გადაიქცევიან მსხვილ ქალაქებად). ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (მუშახელის რაოდენობა, მათი მიდრეკილებები ხალხური ხელოსნობა — რეწვისადმი, ნედლეულის არსებული რესურსები და სხვ.) უნდა აშენდეს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის მქონე საწარმო-სახელოსნოები, სადაც სოფლის საქმეებისაგან თავისუფალ დროს დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.

ამ საწარმო-სახელოსნოებს უნდა ჰქონდეთ ერთი განსაკუთრებული უფლება: კერძოდ, ისინი თავისუფალი უნდა იყვნენ სახელმწიფო დაბეგვრისაგან.

ასეთი გაბედული განცხადებისათვის მე საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში ჯერ კიდევ მძლავრობს მამა-პაპის დანატოვარი ხელოსნობა — რეწვისადმი მემკვიდრეობითი სიყვარული. სანამ ჩემს წინადადებას სამზეოზე გამოვიტანდი, მე იგი მაღალმთიანი სოფლის მცხოვრებლებს გავუზიარე. ნეტა გენახათ, როგორი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ აზრს ჩემი მშობლიური სოფლის ამბროლაურის რაიონის სოფელ თლუღის მცხოვრებნი და არა მარტო ისინი.

ასე რომ, თუ საქართველოს მრეწველობა ამ საქმეს ითავებს, ადგილზე გულშემატკივარი და მუშახელი არ მოაკლდება.

ჩემის აზრით, ეს იდეა განხილული უნდა იქნას ფართო საზოგადოებრიობის მიერ. პარალელურად რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან — ვთქვათ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან, საქართველოს სახალხო ფრონტთან ან დემოგრაფიულ საზოგადოებასთან (შეიძლება დამოუკიდებლადაც) საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს მრეწველობის მუშაკთა ასოციაცია, სადაც მრეწველებთან ერთად შევლენ საზოგადოების სხვა დარგის (პირველ რიგში სოციოლოგები, ისტორიკოსები და ეკონომისტები), აგრეთვე მაღალმთიანი რეგიონების წარმომადგენლები.

ამ ასოციაციამ დეტალურად მთლიანობაში უნდა შეისწავლოს საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა ყველა ასპექტის გათვალისწინებით (ეკონომიკური, ფინანსური, ტექნიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული) და სხვა სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში შეიმუშაოს სათანადო კონკრეტული წინადადებები, რომელთა განხორციელებაც შემდგომში საერთო-სახალხო საქმედ უნდა იქცეს.

ალკაზარ კაციტაძე,
ქარხანა „ვაშლიჯვარის" დირექტორი.

მიხეილ ლოხვიცკი (აჯუკ-გირეი)

გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ იურის ძე **ლოხვიცკი (აჯუკ-გირეი)**.

ჩვენს სამწერლო ოჯახს გამოაკლდა ჩინებული მწერალი და ღირსეული მოქალაქე, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ქართულ ლიტერატურასთან.

მიხეილ ლოხვიცკი დაიბადა 1922 წლის 21 თებერვალს ქალაქ პუშკინში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის მეხუთე საშუალო სკოლა. 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1952 წელს დაამთავრა.

სხვადასხვა დროს მიხეილ ლოხვიცკი მუშაობდა გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" ლიტმუშაკად და განყოფილების გამგედ, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" რედაქტორად, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" განყოფილების გამგედ, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქტორად, ქალაქ ობნინსკის გაზეთ „ვპერიოდის" რედაქტორად, კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინოდრამატურგთა გაერთიანების წევრად, გამომცემლობა „მერნის" მთავარ რედაქტორად და რუსული რედაქციის გამგედ.

მიხეილ ლოხვიცკი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა 1949 წლიდან, როდესაც გაზეთ „მოლოდოი სტალინეცში" დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „გასროლა". მას შემდეგ მიხეილ ლოხვიცკის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგი ოცზე მეტი პროზაული კრებულის ავტორია.

მიხეილ ლოხვიცკის რომანები „მეხთატეხა", „უცნობი", „გასროლა მეტეხში", „მზიანი სისხლი", „ადამიანი გადის ზღვაში", მოთხრობების კრებულები „ვეფხვზე ნადირობა", „ჯადოქარი", „მწვანე ტელეფონის ზარი" და სხვა მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის აღიარებითა და მოწონებით სარგებლობდა. ამ ნაწარმოებებით ჩვენს წინაშე წარმოდგა დიდად ნიჭიერი, ფართოდ ერუდირებული, მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზიის მქონე ხელოვანი, რომლის თითოეულ ნაწარმოებს მოყვასის სიყვარული, თანადგომისა და თანალმობის გრძნობა ასულდგმულებს.

მიხეილ ლოხვიცკის მწერლურმა ნიჭიერებამ განაპირობა ისიც, რომ მის ნაწარმოებებს დიდი ინტერესით გაეცნენ ქართველი, სომეხი, ჩეხი, პოლონელი, უნგრელი და არაბულენოვანი მკითხველები.

მიხეილ ლოხვიცკიმ მისთვის ჩვეული ოსტატობით თარგმნა რუსულად ცნობილი ქართველი მწერლების პროზაული ნაწარმოებები, მის კალამს ეკუთვნოდა საბავშვო ზღაპრების კრებული „რატომაა ზღვა ლურჯი?".

იგი ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრად, რუსული ლიტერატურის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ, „პოლიტიზდატის", გამომცემლობა „მერნის", ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" სარედაქციო კოლეგიების წევრად, და დიდი წვლილი შეჰქონდა ლიტერატურის განვითარებაში, ახალგაზრდა მწერლების პროფესიულ ჩამოყალიბებაში.

დიდი სამამულო ომის წლებში მიხეილ ლოხვიცკიმ ღირსეულად მოიხადა სამშობლოს ერთგული შვილის ვალი. ომის პირველი დღეებიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და ბოლომდე ვაჟკაცურად ატარა ჯარისკაცის ფარაჯა. იგი დაჯილდოებული იყო პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, ცხრა საბრძოლო მედლით.

მიხეილ ლოხვიცკის, ჩერქეზი ხალხის ღირსეულ შვილს, გულით უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, ირგვლივ სიკეთესა და მადლს თესავდა მუდამ, სიყვარულითა და თანაგრძნობით განაწყობდა მისადმი ყველას, ვინც კი იცნობდა ამ კეთილშობილ კაცს, ჩინებულ მწერალსა და მოქალაქეს.

ქართველი მწერლები სათუთად შეინახავენ ძვირფასი კოლეგისა და ძმადნაფიცის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს მწერალთა
კავშირის გამგეობა

სპორტული ორბიტა

● **ჩოგბურთი.** მოსკოვის ღია ჩემპიონატზე, მართლაც რომ თავი ისახელეს საქართველოს სპორტსმენებმა: ვაჟთა ერთეულებში ყველას გადაუწყურა წარმატების იმედი თბილისელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ, რომელმაც ფინალში დაამარცხა უეჭვოდ ლიდერი ვ. სერბაილო. გაბრიჩიძის თანაქალაქელი დავით კაჭარავა კი ამ თანრიგში მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. გარდა ამისა, თბილისელებმა ვაჟთა წყვილების თანრიგშიც იმარჯვეს. მათ ფინალში დაამარცხეს მოსკოველი ა. შილანჯიანი და სიმფეროპოლელი ა. ჩერნეცკი.

● **რაგბი.** გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: ქუთაისის „აია" („მშენებელი") — სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (ქ. მონინო) — 14:10, მოსკოვის „სლავა"-კიევის „ავიატორი" — 25:15, მოსკოვის „ლოკომოტივი"-კრასნოიარსკის ეტს — 10:19, ტაშკენტის „ზვეზდა"-მოსკოვის „ფილი" — 15:13. ნახევარფინალში კრასნოიარსკელები უმასპინძლებენ ქუთაისელებს (მატჩი გაიმართება 15 აგვისტოს), „სლავა" მიიღებს „ზვეზდას" (16 აგვისტოს).

● **ჭადრაკი.** შვეიცარიის ქალაქ ბილში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა არგენტინელი კამპორა (8,5 ქულა), მეორეზე — ავსტრიელი კლინგერი (7). თბილისელმა დიდოსტატმა ნანა იოსელიანმაც 7 ქულა დააგროვა და მას მესამე საპრიზო ადგილი მიეკუთვნა. შეჯიბრებაზე თითოეულმა მოჭადრაკემ 14-14 პარტია ითამაშა.

● **ფეხბურთი.** გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს სამივე კოლექტივმა წარმატება მოიპოვა: ლანჩხუთის გურიამ სტუმრად დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი" — 2:0, ბათუმის დინამოელებმა უმასპინძლეს კემეროვოს „კუზბასს" და ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 1:0, ქუთაისის ტორპედოელებმა კი საკუთარ მოედანზე სძლიეს აბოვიანის „კოტაიკს" — 3:0. დღეისათვის ლიდერთა სამეულში არიან ცსკა — 36 ქულა, ალმა-ათის „კაირატი" — 33 და ლანჩხუთის „გურია" — 32. ქუთაისის „ტორპედო" 23 ქულით მეათე ადგილზეა, ბათუმის „დინამო" კი 21 ქულით — მეთექვსმეტეზე.

● **ბალახის ჰოკეი.** ამერიკელ სპორტსმენებზე გამარჯვებით (3:1) დაიწყო საბჭოთა გუნდმა მალაიზიის ქალაქ იპოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ჭაბუკთა შორის. „ბ" ჯგუფში, სადაც ჩვენი გუნდი გამოდის, არიან აგრეთვე ინგლისის, პაკისტანის, სამხრეთ კორეისა და ესპანეთის გუნდები.

რეპლიკა

კოლექტიური გულის კარნახით

ამასაც მოვესწარით! ვიცოდით, რომ არსებობს კოლექტიური ანუ საზოგადოებრივი საკუთრება, კოლექტიური მეურნეობა ანუ კოლმეურნეობა, კოლექტიური იჯარა, კოლექტიური განცხადება, კოლექტიური სამშობლო, როცა ას ეროვნებას ცალ-ცალკე კი არა, ერთი სამშობლო აქვს, კოლექტიური აზრიც არსებობს, მაგრამ კოლექტიურ გულს ვერ წარმოვიდგენდით!

ვლადიმირ სოკოლოვს განუზრახავს გაგვარკვიოს ეროვნულ ურთიერთობათა საკითხებში, დაუყვია საბჭოთა კავშირი ორმოცდაათ რესპუბლიკად (ამერიკის შეერთებულ შტატებზე ნაკლები რით ვართო!) და გულისტკივილს გვიზიარებს სტატიაში „დემოკრატია და საზღვრები" („ლიტერატურნაია გაზეტა", 1989 წლის 2 აგვისტო): „ერთაშორისი ხანძრის კერები, თანამემამულეთა მიერ დამწვარი თანამემამულეთა საცხოვრისის ფერფლი ჩვენს კოლექტიურ გულში აკაკუნებს და პასუხს მოითხოვს" ფერფლის კაკუნი, ვიცი, ვერაფერი შვილი ქართულია, მაგრამ ვერც დედანი დაიკვეხნის ხეირიანი რუსულით (პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ზუსტად ვთარგმნე!). მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რა აკაკუნებს, არამედ სად აკაკუნებს? კოლექტიურ გულში! მკითხველი, ალბათ, მიხვდება, როგორ გადაწყვეტს კოლექტიური გულის პატრონი მწერალი ეროვნულ საკითხს და იმაშიც დამეთანხმება, რომ მასთან დავას აზრი არა აქვს. მიუხედავად ამისა, რაკი ეროვნულმა საკითხმა მარტო ვლადიმერი კი არ დააბნია, სოკოლოვი, არამედ იმავე კოლექტიური გულით აღგზნებული ბევრი სხვა კალმოსანიც, ჩემს თავს უფლებას მივცემ ინდივიდუალისტური გულის მქონე ქართველებს გავაცნო ამ ავტორის პირით გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება. ასეთი აზრებით ამ ბოლო ხანებში აჭრელებულია ცენტრალური პრესა.

ვლადიმირი აკრიტიკებს, სოკოლოვი, ზოგიერთ რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირისაგან „განქორწინებას" რომ მოითხოვენ: „მათ ავიწყდებათ, მთხოვნელებს, რომ ჩვენი მამა-პაპის და ახლაც ცოცხალი თაობის შრომაა ჩადებული მთელი ქვეყნის მეურნეობაშიო". ასე თუ მივუდგებით, მართლა ყოველგვარი განქორწინება წარმოუდგენელია, სად ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელშიც მამა-პაპათა შრომა არ იყოს ჩადებული? იქნებ, როცა ასეთ შედარებას ახდენდა, მწერალი რომელიმე უპატრონო ოჯახს გულისხმობდა, მაგრამ როგორ დავიჯერო, ამ ოჯახის წევრთა თუნდაც დაბადებაში არავის მიუძღვის წვლილი? ადამიანიც ხომ კოლექტიური სექსის ნაყოფი არ არის, თუმცა, გული, თურმე, შეიძლება ჰქონდეს კოლექტიური. კოლექტიური გულის პატრონები „სამშობლოდ თვლიან ქვეყანას ზღვიდან ზღვამდე და არა ცალკეულ ლანდშაფტებს". ხედავთ, რა მასშტაბები აქვს კოლექტიურ გულს, ადგილიც არ რჩება რაღაც პატარა საქართველოსთვის თუ ესტონეთისთვის!

რადგანაც „გამოყოფის იდეა არაფორმალურ ლიდერთა თავში მაინც თუხთუხებს", ავტორი გამანადგურებელ არგუმენტს იშველიებს: წარმოვიდგინოთ, რომ გამოყოფა მოინდომა კალიფორნიამ, გასულ საუკუნეში ძალით შეგვიერთეს შტატებმა და ახლა აღარ ვთამაშობთ მათთანო. ხომ დემოკრატიულია ამერიკა, დედამიწის შვილია და ასეთი რამ გაბედოს კალიფორნიამო. რკინის ლოგიკაა, უფრო სწორად — თუჯისა! ვერაფერს იტყვი საწინააღმდეგოს, ეროვნული რესპუბლიკები ვლადიმირს მიაჩნია, სოკოლოვს, შტატებად. მას არაფერს ეუბნება არც ერმაკის „განმათავისუფლებელი" ლაშქრობა, არც ამ „განმათავისუფლებელი" იდეის მატარებელი სახელწოდებანი „ვლადი-კავკაზ", „ვლადი-ვოსტოკ", თვით მისი მსოფლიო პრეტენზიის მქონე სახელი „ვლადიმირ".

როგორც ეტყობა, კოლექტიური გულის პატრონებს შეუძლიათ მშვიდად იყონ. აი, როგორ ემუქრება ვლადიმირი (სოკოლოვი) რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მსურველებს: „ამ დამანგრეველი იდეის ბუნებრივ მოწინააღმდეგედ ჩანს რსფსრ-ს გიგანტური მონოლითი, რომელიც, როგორც წარმოგვიდგენია, თვითონ არ შეირყევა და შეძლებს ცხელი გოგრებიც გააგრილოს".

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი არ გამიკვირდება, რომ ამ სიტყვების მთქმელმა „გოგრა" გამიჩეხოს მესანგრის ორლესული ბარით! ასეთი კაცი ვითომც მცირე ერებზე ზრუნავს, მზად არის შექმნას 20-ათასიანი ევენკების „რესპუბლიკა", სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ოლქი თუ რაიონი. იმდენად გულუხვია, რომ რუსეთსაც 8 „რესპუბლიკად" ჰყოფს, რადგანაც შესანიშნავად იცის, რომ შტატებად თუ გუბერნიებად დაყოფა რუსეთს ვერაფერს დააკლებს, სამაგიეროდ, სხვა რესპუბლიკებიც ასეთივე გუბერნიებად იქცევიან:..

ვლადიმირის (სოკოლოვის) კოლექტიური გული ვერ აიტანს მოკავშირე რესპუბლიკების არა თუ ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, არამედ ამ დამოუკიდებლობის უფლებასაც. ამიტომ უნდა შეიცვალოს უხეირო კონსტიტუცია. არ იყო მართალი ლენინიც, ერთა თვითგამორკვევაზე და გამოყოფის უფლებაზე რომ ლაპარაკობდა (კოლექტიური გულის პატრონები, როცა ხელს არ აძლევთ, ადვილად ივიწყებენ რევოლუციის ბელადსაც!), მით უმეტეს, სცოდავდა სტალინი, რომელმაც კონსტიტუციაში შეიტანა მუხლი, რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას რომ უტოვებდა (სტალინს, როგორც ეტყობა, ქვეყნის დაშლა ჰქონდა განზრახული!). ამიტომ ვლადიმირი ასეთ რამეს გვთავაზობს, სოკოლოვი: „განა არ დადგა დრო, გადავხედოთ კონსტიტუციაში სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით უაზრო ფორმულას „სსრკ-დან თავისუფალი გასვლის უფლება"? იქნებ, ერთობლივად განვიხილოთ ორაზროვანი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ყველანი მოვხვდით ამ ფორმულის გამო, უარი ვთქვათ მასზე და ნაცვლად ვაღიაროთ ფედერაციის ნაცადი, საიმედო პრინციპი?" მაგრამ მთლად კაცისჭამია არ ყოფილა ჩვენი ავტორი, იგი უფლებას იძლევა გარდაქმნის პერიოდში, ვისაც არ დაუშლია, გავიდეს კავშირიდან, მაგრამ შემდეგ კი ნურას უკაცრავად, სამუდამოდ უნდა დარჩეს „ურღვევ მონოლითში".

ალბათ, ახლა მკითხველისათვის ნათელია, თუ რატომ არა აქვს კოლექტიური გულის პატრონთან დავას აზრი, მაგრამ ვისაც მისი წერილი არ წაუკითხავს, ხომ იტყვის, შე კაცო, მე რაღას მერჩოდი, გულს რას მისივებდიო. ღმერთი, რჯული, არაფერს გერჩი, მარტო შევასკდებოდი გულს, მაგრამ ხომ ერთად უნდა ვიფიქროთ — ვისთან გვაქვს საქმე? თანაც ვლადიმირი (სოკოლოვი) მარტოსული როდია, მას ზურგს უმაგრებს მრავალი „კომპეტენტური" ავტორი, ერთ ასეთ კოლექტიურ ნაშრომზე „ლიტერატურულ საქართველოში" ადრეც მქონდა ლაპარაკი, სულ ახლახან საქმეში ჩაერია „მძიმე არტილერია", აკადემიკოსი ი. ბრომლეი. ეს ავტორები ქვას ქვაზე არ ტოვებენ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის გზაზე და ვლადიმირის რა უნდა გვიკვირდეს, სოკოლოვის!

რომან მიმინოშვილი.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარსა და მთაში 23-28, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 29-34, მთაში 27-32, მაღალმთიანეთში 18-23 გრადუსი.

თბილისში: მშრალი ამინდი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — 32-34 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია—ხუთშაბათი, 10 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა" — მხატვრული ფილმი „ბიჭუნა დიდი შავი ძაღლით". 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.20 — მოსწავლეთათვის — მღერის გოგონათა საესტრადო კამერული ანსამბლი „ნანა". 17.45 — განცხადებები. 17.50 — მოამბე. 18.25 — ლ. იაშინის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საფეხბურთო მატჩები: 1. „დინამოს" ვეტერანთა ნაკრები — მსოფლიოს ვეტერანთა ნაკრები; 2. „დინამოს" ნაკრები — მსოფლიოს ნაკრები. რეპორტაჟი „დინამოს" ცენტრალური სტადიონიდან (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ანსამბლი „სიმდი" 50 წლისაა.

მეორე პროგრამა. 16.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.50 — მოამბე. 18.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პარტკომის მდივანი" I და II სერია. 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ოთარაანთ ქვრივი". 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — 120 წუთი. 9.35 — ფილმ-კონცერტი. 10.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რვაფეხა". IV სერია. 11.10 — კინოაფიშა. 12.10 — მსოფლიოს გარშემო. ალმანახი. 16.30 — დოკუმენტური ფილმი. 17.10 — ანსამბლ „რუსული მუსიკის" კონცერტი. 17.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 18.15 — დოკუმენტური ფილმი „ელსინორელი მაცნე". 18.25 — ფეხბურთი. ლევ იაშინის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩები. „დინამოს" ვეტერანთა ნაკრები — მსოფლიოს ვეტერანთა ნაკრები; „დინამოს" ნაკრები — მსოფლიოს ნაკრები. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „რვაფეხა". IV სერია. 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — ესპანური ოპერის ვარსკვლავები. ხ. კარერასი. 1.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.55 და 13.30 — ესპანური ენა. 10.25 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VIII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი. 12.00 — ახალი ამბები. 12.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". VIII სერია. 12.55 — მულტფილმები. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — გადაცემის „ახალგაზრდა კინოს" დანართი. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 18.35 — ჩვენი სტუმარი. ა. კორჩაგინი (ჩელო). 19.00 — მულტფილმი. 19.10 — სატელევიზიო სპექტაკლი „სალამანდრის ნიშანი". 19.20 — „გაუფრთხილდით თქვენს სიმღერებს". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — უნდა გვახსოვდეს. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „საზრიანთა კლუბი—89". 0.50 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე — 00381 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის №9. 1 2 3 4 5 6 7-8 9 10 11 12 13 14